645
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ოქტომბერი
№ 10 1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი კრემლში

ეროვნული ბიბლიოთეკა



პეტროგრადის დაცვა

მხატვარი ა. დეინეკი

ოქტომბერი
№ 10 1967 წ.

# საქართველოს ქალი

კ. მარქსის სახ. სახ. სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუცუბნის მზიანი დღეები

ფოტო ვ. ბაბაიანისა

**სოციალისტური შრომის გმირი ასმათ ჟიჟავაძე**



აღარც ის ცაცხვის ხე არის, აღარც ის ეკლესია, რომლის გამოც შეერქვა სოფელს ხუცუბანი. იმ ფართოტოტება, ამაყად ტანაყრილ და ლამაზად გადაშლილ ცაცხვისაგან ფესვები-ღა მოჩანს, წინაპართა ეკლესიისაგან კი მხოლოდ საძირკველი დარჩენილა, დანგრეული, მაგრამ აღმოუფხვრელი. წინათ ხუცთუბანი ყოფილა აქ. ეკლესიის ეზოში, ცაცხვის საამურ ჩრდილქვეშ, თავს იყრიდა ხალხი დღესასწაულზე, იმართებოდა ლხინი, თამაში, სხვადასხვა შეჯიბრება... თურქებს თავიანთი ბატონობის დროს გადაუჭრიათ ეს ცაცხვი, დაუნგრევიათ ეკლესია, ტყვედ წაუსხამთ ვაჟები და ქალიშვილები.

მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული თურქები აჭარიდან აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრებზე ყოველწლიურად ერეკებოდნენ გასაყიდად თორმეტ ათასამდე მონას, რომელთა რიცხვში ხუცუბნის მკერდიდან სამუდამოდ აგლეჯილი შვილებიც ერია. დადგა საზარი ხანა. ქართველ ასულთა ლამაზი სახეები ჩადრით დაიფარა, მაგრამ სამასი წლის განმავლობაშიც თურქებმა ხალხის გულიდან ვერ აღმოფხვრეს ის, რაც წინაპართა გულებში აკვნის რწევასთან ერთად იყო ჩაქსოვილი — მშობლიური მიწაწყლის სიყვარული.

მრავალი ბრძოლა გამართულა ამ პატარა კუთხეში. ბევრი სისხლი დაღვრილა აქ იმისათვის, რომ სიცოცხლე და თავისუფლება შეენარჩუნებინა ხალხს.

ამას რვა ათეული წლის წინათ ხუცუბნის მისასვლელთან დარჩენილი სამარის ქვებიც ასაბუთებენ. აქ მომხდარ ბრძოლებში დაცემულან რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები, როდესაც თურქების მიერ მიტაცებულ მიწა-წყალს საქართველოს უბრუნებდნენ.

გავიდა შავბნელი დრო და დადგა ოქტომბრის მზის სხივებით განათებული ბრწყინვალე დღეები. ნახევარი საუკუნის წინათ ასეთ ცხოვრებას ზღაპარშიც ვერ წარმოიდგენდნენ.

სოფელი გაშლილია მდინარე კინტრიშის ორივე მხარეს, მთების ფერდობებზე. შორს, მდინარის გაყოლებით, უზარმაზარ ტილოზე დახატულივით, მოჩანს შავი ზღვა. მთებზე გრძელ და ხვეულ მწკრივებად ატყორცნილან ნაძვები და კრიპტომერიები, უფრო დაბლა, ორას სამოცდახუთ ჰექტარზე სწორ ზოლებად ჩამწკრივებულან ჩაის ბუჩქები. თითქოს უზარმაზარ დარბაზში, რომელსაც თვალუწვდენი ლურჯი თაღი ახურავს, ხელით მოქარგული ხალიჩები მოუფენიათო. მიიკლაკნებიან შარაგზები, რომლებიც ხან დაბლა ეშვებიან, ხან მაღლა ადიან, ხიდებით მდინარეზე გადიან, ხან ტყეს ჩაუვლიან, ხან პლანტაციებს და მერე სადღაც იკარგებიან.

ამ სოფლისა და მისი მიდამოების ბუნება კოლმეურნეთა მადლიანი ხელით არის შექმნილი. შრომამ, კოლექტიურმა, სოციალისტურმა შრომამ ააყვავა ეს ველ-მინდვრები, შემოსა იგი მარადმწვანე ციტრუსებით, მოხატა ჩაის პლანტაციებით, ჩააყენა ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში. თვალუწვდენ სივრცეში არცერთი ხე, არცერთი ბუჩქი. თავისით არ ამოსულა. ისინი ადამიანმა დარგო, გააშენა გეგმით, აზრიანად ისე, რომ ჯანსაღიც იყოს, მშვენიერიც და ნაყოფიერიც.

წითელი აგურით აშენებული ორსართულიანი სახლი ხეხილნარში ზის. მსხლის, მსხვილი ხურმისა და ალუბლის ტანმაღალ ხეებს შემოხვევია და მაღლა აზიდულა ვაზი, ზემოთ კი თავისი დიდრონი ფოთლები მარაოსავით გადაუშლია. ქარვისფერი მტევნები ისე დაკიდებულან, როგორც სათამაშოები ნაძვის ხეზე. ამ სახლიდან ყოველ გარიჟრაჟზე გამოდის საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი, სამოცდაორი წლის თმაშევერცხლილი ქალი ასმათ ჟიჟავაძე. ის იღიმება.

გარიჟრაჟზე, როდესაც შრომასმოწყურებული ადამიანი ბუნების წიაღში გამოდის, მას ღიმილი უხდება. ამ ქალს კი განსაკუთრებით შვენის, რადგან მას ღიმილი მოჰგვარა იმან, რაც უყვარს. აი, — ამ ჩაის ბუჩქებმა.

ასმათის რგოლმა 1947 წელს შვიდი ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 9.166 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოიწია და ამისათვის სოციალისტური შრომის გმირობა მიანიჭეს, ოქროს ვარსკვლავი მიიღო ასმათის ქალიშვილმა გულიკომაც, შრომის უმაღლეს ჯილდოდ მკერდზე ლენინის ორდენები უბრწყინავთ ასმათის მეუღლესა და ვაჟიშვილს. მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ასმათის წარმატებები. ამას მოჰყვა კიდევ ორი ლენინის ორდენი, საგამოფენო კომიტეტის მედლები და ფასიანი საჩუქრები.

თავდადებული შრომით მოპოვებულია მეჩაიე ქალების ფადიმე მესხიძის, მერიკო შაქარიშვილის, აიშე მაჭუტაძის, მერიკო გოგიტიძის, თუნთულ მოწყობილის, ემინე გოგიტიძის, გულვარდი ნემსაძის მკერდზე მოციმციმე ორდენები და ოქროს ვარსკვლავები. ოცდახუთი სოციალისტური შრომის გმირისა და სამასი ორდენოსანისა და მედალოსანის სოფელია ხუცუბანი.

ამას წინათ აქ კოლმეურნეობას საზეიმო ვითარებაში გადასცეს ლენინის ორდენი, რომლითაც იგი დააჯილდოვეს მეურნეობისა და კულტურის დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის.

მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული ხუცუბნელი მშრომელები ახალ წარმატებებს აღწევენ საიუბილეო წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. კოლმეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა ათას ას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. ეს წლიური გეგმის ოთხმოცი პროცენტია. რეზო ბაჯელიძის ბრიგადამ, სადაც ასმათ ქიქავაძე მერგოლურად მუშაობს, 198 ტონიდან მრეწველობას ჩააბარა 170 ტონა „მწვანე ოქრო". კერძოდ ასმათის რგოლმა ცხრა ჰექტარზე სამოცდასამი ტონა ნედლეული მოკრიფა.

საიუბილეო შრომის ვახტზეა ასმათის რგოლის ოცდაცხრა მკრეფავი. მათ შორის არიან ახალგაზრდა მეჩაიეები ნაზიკო მოწყობილი, თუნთულ ცეცხლაძე, ნინო ჯანელიძე, ეთერ მოწყობილი, ნაზი მჟავანაძე.

ხანდაზმულმა მერგოლურმა ასმათმა სამი ათას კვადრატულ მეტრზე ორიათას ექვსასი კილოგრამი „მწვანე ოქრო" მოკრიფა და წლიური დავალება ორნახევარი თვით ადრე შეასრულა. მისი გადაწყვეტილებაა, ამდენივე ფოთოლი მოკრიფოს სეზონის ბოლომდე საიუბილეო სოციალისტური ვალდებულების ანგარიშში.

— ნუთუ არაფერი გაბრკოლებთ, ან სიცხე, ან წვიმა? — ხშირად ეკითხებიან ასმათს სტუმრები.

— მე მზეც მეხმარება და წვიმაც. ჩვენს ბუჩქებს ორივე სჭირდება. გვალვის დროს სხვანაირად ვუვლით, წვიმების დროს — სხვანაირად, — პასუხობს გმირი.

ეს ყველაფერი ამ სოფლის კოლმეურნეთა შრომისა და ცხოვრების ერთი პატარა მხარეა. მათი პლანტაციები და ყანები მთის კალთებიდან იწყება და ზღვის ნაპირამდე აღწევს. გმირული შრომის სარბიელი დიდი აქვთ, ორი ათას ჰექტარს შეადგენს მათი მიწა-წყალი. ეს მიწა-წყალი ძველადაც იყო, მაგრამ უსარგებლო, ზიანიც კი მოჰქონდა მას. ახლა აქ ახალი ადამიანის შრომამ ყველაფერი გარდაქმნა: ნიადაგიც, მცენარეულობაც, ჰავაც კი. ეკალ-ბარდების ნაცვლად ჩაის ბუჩქები გაჩნდა. თხმელნარი გაქრა და ნაძვები და კრიპტომერიები ქარსაფარ ზოლებად შემოავლეს ჩაის ბუჩქებსა და ციტრუსოვანთა ბაღებს. ჭაობები აღარ ავსებენ ჰაერს ციების კოღოებით. ძველად ამ სოფლის არც ერთ გლეხს ბედნიერებაზე ოცნებაც არ შეეძლო, მისი საფიქრალი მარტოდმარტო მჭადი იყო.

სხვა სურათია დღეს.

რვაას ორმოცდაცხრა კომლია კოლმეურნეობაში. წელს ისინი ჩაისა და ციტრუსების ჩაბარების საფასურად მილიონნახევრამდე მანეთ შემოსავალს მიიღებენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლენინის ორდენოსანი ვლადიმერ ბაჯელიძე გარიჟრაჟიდან დაბინდებამდე თავს დასტრიალებს ამ ბარაქისა და დოვლათის წყაროს. ის ყოველდღიურად იბრძვის არა მარტო გეგმების შესრულებისათვის, არამედ გადაჭარბებისათვის. გეგმის შესრულება აქ საფიქრალი არასოდეს არ ყოფილა. თავმჯდომარეს გამოანგარიშებული აქვს, რომ გეგმის გადაჭარბებით კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ორასი ათასი მანეთით უნდა გაიზარდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ წლიური შედეგების მიხედვით თითოეული კაცდღე ექვს მანეთად და 35 კაპიკად ანაზღაურდება.



**კოლმეურნეობის აგროლაბორატორიის გამგე, სოციალისტური შრომის გმირი მერი გოგიტიძე**

მართლაცდა, სოციალისტური შრომა რა დიდ ძალას აძლევს ადამიანს! რა არ შექმნეს ამ ადამიანებმა! მათ გაიყვანეს სოფელში გზები და ხიდები,ააშენეს საშუალო სკოლის შენობა, კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი, სამკითხველო, ფოსტა, ციტრუსების საფუთავი ქარხანა, ჩაის ფაბრიკა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, საბავშვო ბაღები, სასადილოები, სავაჭრო მაღაზიები, ავტოსატრანსპორტო პარკის შენობა.

დიახ, კოლმეურნეთა პატიოსანი შრომით აშენდა და დამშვენდა ხუცუბანი. ძნელია აქ თუნდაც ნიმუშად მონახო ძველებური ქოხმახი, უხეირო სახლი, რომ ერთგვარი პარალელი გაავლო ძველსა და ახალს შორის, ძველ დუხჭირ და ახალ ბედნიერ ცხოვრებას შორის. ერთიმეორეზე უკეთესი საცხოვრებელი სახლები აუგიათ აქაურ კოლმეურნეებს, და აქვთ რაღაც თავისებური სტილი კოლმეურნეთა სახლებს: სინათლე, სილაღე, სივრცე — აი, რა იგრძნობა მათში, სილამაზე, სიკოხტავე — აი, მათი გარეგნული სახე.

სიხარულით გავცქერით ხუცუბანს. სოფელი მთლიანად მწვანე ბაღნარში ზის, ერთმანეთს ამშვენებენ კრიპტომერიები, ევკალიპტები, მაგნოლიები, შრიალებენ მანდარინის ხეები. უფრო მოშორებით კი მოსჩანს წაბლნარით, წიფლნარით და ცაცხვებით დაბურული მთები: თაფლაური, პერანგა, ხინო, რომელთაც მზის ამოსვლის მოლოდინში მაღალსა და ჯანიერ მხრებზე ნისლის მსუბუქი ლეჩაქი გადაჰფენიათ.

ღრუბლები მიმოდიან მთაზე, მაგრამ მზე მაინც ამოდის, მისი ხვედრია ამ ხეხილის ბაღების ჩატკბობა და ჩაშაქრება.

მშრომელთა ბედნიერების მზე კი, ცხრაას ჩვიდმეტის ოქტომბერში რომ ამოვიდა, ცის შუაგულში დგას და ზამთარ-ზაფხულ ათბობს სამშობლოს აყვავებისათვის ერთგულად მშრომელ ადამიანებს.

**ჯემალ შამილაძე**

**ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი მიტინგი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ავტომანქანები გზებს მიუყვებიან



კაზმის შემდგენელ საამქროში

რეპორტაჟი

კოკისპირულად წვიმს. ჩანს, გადაღებას არ აპირებს.

დატვირთული ავტომანქანები უასფალტო, ატალახებულ გზას ხვნეშით მიუყვებიან.

მოშორებით ვაგონები იცლება. ჩვენს წინ არის კვარცის სილის მთები, ნეფელინის, ნახშირის, სულფატის და მარმარილოს გორები.

თეთრხალათიანი ქალი რაღაცას ანიშნებს ამწევი ონკანის მემანქანეს — გულერი ღვალაძეს. მარმარილო და კვარცის სილა გრეიფერის ონკანებიდან საშრობ დოლში იყრება.

ცვლის უფროსის ნორა მურჯიკნელის მახვილი თვალი ყველგან წვდება. კაზმის ხარისხიანი მომზადება ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს და ისიც არ იშურებს ძალასა და ენერგიას.

ვაგონები კი შემოდის და შემოდის...

რამდენიმე თვეა, რაც მწყობრში ჩადგა სურამის მინის ტარის ქარხანა.

— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად ივლისის ნაცვლად აპრილის შუა რიცხვებში გამოვუშვით პირველი პროდუქცია, — ამბობს ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი არჩილ ქალიაშვილი.

სურამის მინის ტარის ქარხანა ნახევარლიტრიან სტანდარტულ ბოთლებს უშვებს მინერალური და უალკოჰოლო სასმელებისათვის. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ცხინვალის, მახარაძის, მარნეულის, ბორჯომისა და სხვა ქალაქების ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხნებმა უკვე მიიღეს სურამული მარკის პროდუქცია. აქ დამზადებულ ბოთლებში ჩამოისხა ნაბეღლავის, ჯავის, საირმეს, ძაუს და ზვარეს მინერალური წყლები.

140 მილიონი ცალი ბოთლი უდანაკარგოდ წელიწადში, ასეთია სურამელთა გეგმა.

კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის ქარხნის ამუშავებამდე იზრუნეს. ორმოცდაათი კაცი მიავლინეს ირკუტსკის ოლქსა და ბაშკირეთში.

— პირველი პროდუქცია კვალიფიციურმა მემანქანეებმა, გამწყობებმა და შუშის მხარშავებმა გამოუშვეს, — განაგრძობს არჩილ ქალიაშვილი.

კაზმის შემდგენელ საამქროში შევდივართ. იგი



ნინო გლუშჩენკო

ერთ-ერთი ძირითადი საამქროა მთელ ქარხანაში.

ღუმელთან მამაკაცი ტრიალებს. ყურადღებით ადევნებს ყველაფერს თვალს. 1.450 გრადუს ტემპერატურაზე ღუმელში სილიკატები წარმოიქმნება. დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ გუგუნებს ცეცხლი. აქ ყველაფერი ახალია. „AB-6“ უახლოესი ტიპის ავტომატია. საბჭოთა კავშირში პირველად სურამის მინის ტარის ქარხანაში აითვისეს იგი. სწორედ ამ მანქანიდან „ჩამოდის“ გავარვარებული ბოთლები. აქ იბადებიან ისინი და საბოლოო სახეს იძენენ.

გამომწველ ღუმელთან ქალიშვილი ტრიალებს. დაკვირვებით აჩერდება შკალას და უბის წიგნაკში რაღაცას ინიშნავს. ეს ქალიშვილი ციური ბარბაქაძე გახლავთ. მან შარშან დაამთავრა ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა და ქარხანას მოაშურა.

— ოდნავი უყურადღებობა და უხარისხო პროდუქციას მივიღებთ, — გვეუბნება იგი.

გამომწველ ღუმელში თითოეულმა ბოთლმა უნდა გაიაროს. „AB-6“-დან „ჩამოსული“ ბოთლის გარეთა ზედაპირი შედარებით ადრე ცივდება, შიგნითა ცხელი რჩება. ამ პროცესით გამოწვეულმა დაძაბულობამ პროდუქციის ხარისხი რომ არ დასცეს, ბოთლები გამომწველ ღუმელში გადააქვთ და იქ თანაბრად ცივდება.

ციური ჩქარობს, სიტყვაძუნწობს. შკალაზე ამოძრავებულ ისრის საიდუმლოებას არ გვანდობს, მალე გვივიწყებს და ჩანაწერს უბრუნდება.

ფართო კონვეიერზე ბოთლების კოლონა მოემართება. წუნმდებლები დაკვირვებით სინჯავენ თვითეულ მათგანს.

ნინო ბაბუნაშვილი — ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი—შორიდან გვესალმება, კონვეიერს არ ცილდება. სინათლეზე ამოწმებს ზოგიერთ „საეჭვო“ ბოთლს და პატარა წერტილის შემჩნევის დროსაც კი „წუნში“ გზავნის.

ნინო, როგორც კარგი სპეციალისტი, ბორჯომის შუშის ქარხნიდან გადმოიყვანეს სურამელებმა, ახალბედა ქარხანას გამოცდილი ტექნოლოგის თვალი სჭირდებოდა.

ნინომ გამოზარდა წუნმდებლები: ლილი ბლიაძე, მაყვალა ჭავჭავაძე, ნელი ჩიკვაიძე. მათ ბორჯომიდან თებრო ხიჯაკაძეც შემოუერთდა.

ზოგმა ადრევე დადო ქარხანას ამაგი. პოლინა ტალახაძემაც ჩააწყო საძირკველში აგური, ამიტომაც შესტკივა გული ყველაფერზე.

— ჩვენთან ახალგაზრდა კოლექტივია. მალე აითვისეს ყველაფერი, — ამბობს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ანზორ შიუკაშვილი.

მრავალმა სკოლადამთავრებულმა მოაშურა ქარ-

ხანას. სკოლის მერხიდან მოსულთ ცხოვრებისეული პრაქტიკა აკლდათ. რა დასამალავია და... უჭირდათ. გული ხშირად გარეთ მიუწევდათ, დღისით კინოსა და სხვა გასართობს ვერ ელეოდნენ. ღამის ცვლაში გამოსულებს მუშაობა უძნელდებოდათ.

საქმეში უფროსები ჩაერივნენ. გააფრთხილეს. შრომამ და თავდადებამ თავისი გაიტანა. მალე მოამზადეს წუნმდებლების ახალი ჯგუფი. ნანი დვალიშვილმა, იულია პაუტოვამ, ეთერ სტეფნაძემ, ლამარა ხუციშვილმა იმედი გაამართლეს. ნანიმ და იულიამ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლა დაუსწრებლად განაგრძეს.

კონვეიერზე მოდის და მოდის პროდუქციის ახალი წყება. ბოთლები პრეს-აპარატში მაღალი წნევის ქვეშ ტარდება. მერე სხვადასხვა ტემპერატურის აბაზანებში გზავნიან. მხოლოდ ხარისხიანი პროდუქცია უძლებს ასეთ გამოცდას — ტემპერატურის მერყეობას.

მოცულობა, გარეგნობა, ხარისხი, ფერი... ყველაფერი მოწმდება.

საამქროში მთავარი ინჟინერი მამია ხომერიკი შემოდის. მას შუახნის ქალი მოჰყვება. აი, შეგვნიშნეს და ჩვენსკენ გამოსწიეს კიდეც.

მამია ხომერიკი და საამქროს მექანიკოსი გურამ ლაცაბიძე ქარხნის ამუშავებამდე ესტუმრნენ ჩეხოსლოვაკელ კოლეგებს. საკუთარი დაკვირვებანი აკლდათ. ამიტომ გულდასმით გაეცნენ შუშის ტექნოლოგიას.

— კვარცის სილა მივიღეთ ტამანიდან, — ამბობს მთავარი ინჟინერი.

— ადგილობრივ ნედლეულს რატომ „შემოსწყრა“ თქვენი ქარხანა? — ვეკითხებით.

— მოგეხსენებათ, რომ ჭიათურის, საჩხერის,


ნინო ბაბუნაშვილი


ბოთლების დახარისხება



ხარაგოულის კვარცის სილა გამდიდრებას მოითხოვს, მინარევები აქვს, დამუშავებას საჭიროებს...

— და მაინც თითქმის ორჯერ იაფი დაჯდება, ვიდრე ტამანის სილა...

— იაფი კი დაჯდებოდა, მაგრამ...

მერე თანამგზავრი ახსენდება:

— იცნობდეთ, ნინო გლუშენკო გახლავთ.

ქალიშვილის გაბედნიერებას ვულოცავთ, საიდან იცითო, გაიკვირვა. მის შესახებ ბევრი რამ გვიამბეს.

მიწის ძვრების შემდეგ სამი ოჯახი ეწვია სურამს ტაშკენტიდან. გულთბილად მიიღეს ისინი ქართველებმა.

ნინო გლუშენკოსა და მის ქალიშვილს — ლიდას, როცა მეოთხე სართულზე ოროთახიან ახალ ბინაში შეუძღვნენ და ჭერი დაულოცეს, ქალმა მღელვარება ვერ დაფარა, გული ამოუჯდა.

მინის ტარის ქარხანაში ზრუნვა არ მოკლებიათ. ლიდამ გულისტოლი იპოვა და წავიდა. დედამ კი დარჩენა ამჯობინა.

— ისე შევეჩვიე აქაურობას, რომ ზოგჯერ მგონია, აქ დავიბადე-მეთქი. სხვაგან ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია... — გვეუბნება ნინო ღიმილით.

საამქროს უფროსი ბექან კობალაძე კონვეიერთან დგას და ხანდახან ლალი ქურდაძეს გაელაპარაკება.

— საიუბილეო წლის გეგმას ათი დღით ადრე შევასრულებთ. ქარხანა ახლახან ჩადგა მწყობრში. ამჟერად 15 მილიონ ბოთლს გამოვუშვებთ. მომავალში ჩვენი ქარხანა 1,5-ჯერ მეტ პროდუქციას მოგვცემს, ვიდრე ბორჯომისა და ავჭალის მინის ქარხნები ერთად, — გვანდობს მომავლის გეგმებს ბიუროს მდივანი.

ქარხნის მშენებლობა ჯერ კიდევ დასამთავრებელია. ოქტომბრის დღეებისათვის დამთავრდება მეორე ღუმელის მშენებლობა, კეთილმოეწყობა ქარხანა, აშენდება აბანოები, გასახდელი...

ნინო ბაბუნაშვილი საამქროში ბრუნდება.

— ყველაფერი რიგზეა, — ეუბნება საამქროს უფროსს, რომელსაც გულისყური იქით აქვს.

საამქროდან გასული ხმაური გარეთ იკარგება.

დატვირთული ავტომანქანები ხვნეშით მიუყვება გზას.

იქით ვაგონები იცლება.

გამოუდარებია...

ცხრათვალა მზე ზევით აწეულა.

**ნათელა ქიმერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### კეთილი ადამიანები

# ანატოლის გული



მარიამი და ანატოლი (1956 წ.).

## ნამდვილი ამბავი

ოთახში შემოვიდა ქერათმიანი, ცისფერთვალა ახალგაზრდა, მოგვესალმა და მაგიდის ახლოს მორცხვად დადგა. ეტყობოდა, ღელავდა. ან როგორ არ იღელვებდა: დღეს, ამ ოთახში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მისი მიღების საკითხი იდგა.

— ა, ეს შენა ხარ, ტოლია? — გაუღიმა მას საქალაქო კომიტეტის მდივანმა თამარ ვარდანაშვილმა, რომელიც კომისიის სხდომას ესწრებოდა. მათ შორის მეგობრული საუბარი გაიმართა.

სახელმა დამაინტერესა და განცხადებას გადავკარი თვალი. მახსოვს მისი ბოლო სტრიქონები: „ვიძლევი პირობას კეთილსინდისიერად შევასრულო პარტიული ორგანიზაციის დადგენილებები და დავალებები, ვიყო კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი".

ამასობაში კომისიის თავმჯდომარე მიუბრუნდა გასაუბრებაზე შემოსულს:

— გვარი?

— სადოვნიკოვი.

— ეროვნება?

— ქართველი ვარ, ქუთაისში დავიბადე და გავიზარდე.

— მშობლები?

— მამა არ მინახავს, დედა კი...

— სად ცხოვრობ?

— გელათის მეორე შესახვევი. ლომთაძის სახლი, № 7...

პასუხებმა ყველა დაგვაინტერესა, ცოტა გაგვაკვირვა კიდეც. იმათ, ვინც ამ ახალგაზრდას იცნობდა, გაგვიმარტეს, რომ ანატოლი მიხეილის ძე სადოვნიკოვი, მას შემდეგ, რაც მან ენა აიდგა და გამართული სიარული ისწავლა, მუდამ ასეთ პასუხებს აძლევდა ცნობისმოყვარე ადამიანებს.

თუმცა, სჯობს თანმიმდევრობით გავყვეთ ამბების მსვლელობას.

* * *

იგი დაიბადა ლენინგრადში, მრისხანე 1941 წლის დღეებში. დაიბადა მაშინ, როცა მტერი ამ ქალაქის კარებს მოადგა, შავ ღრუბლად ჩამოაწვა და ხმელეთიდან შემოერტყა დიდი ოქტომბრის რევოლუციის აკვანს.

რამდენი უბედურება დატრიალდა მაშინ ლენინის ქალაქში! ცეცხლის ალში იყო გახვეული სახლები, მთელი კვარტალები. აიწეწა ოჯახები. ფაშისტები ყოველი მხრიდან ბომბავდნენ ქუჩებს, ულმობლად ხოცავდნენ ადამიანებს. ქალაქში შიმშილმა დაისადგურა. თითქმის მთლიანად მოიშალა კომუნალური მეურნეობა. დასუსტებული ადამიანები ქუჩაში ეცემოდნენ და კვდებოდნენ.

მაგრამ ლენინის ქალაქი სულით არ დაცემულა. ვისაც ოდნავ მაინც შეეძლო, ლენინგრადში დარჩა და ყველაფერს აკეთებდა მშობლიური ქალაქის დასაცავად, ჰიტლერელი ურდოების წაბილწვისაგან მის გადასარჩენად. სხვები კი, პირველ რიგში ბავშვები დედებითურთ, ქალაქიდან გაჰყავდათ. მათ შორის იყო ერთი წლის ანატოლი სადოვნიკოვიც. დედამისმა გადაწყვიტა საქართველოსკენ წამოსულიყო: აქ იმ დროს მისი მეუღლე — კაპიტანი მიხეილ სადოვნიკოვი იმყოფებოდა ფრონტის წინა ხაზზე გამგზავრების მოლოდინში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომის მზიანი დღე იდგა. სადოვნიკოვა სამხედრო ნაწილის მანქანით გაუდგა გზას. გული აჩქარებით უცემდა დიდი ხნის უნახავ მეუღლესთან შეხვედრის მოლოდინში.

მეუღლისა და შვილის მოლოდინში იყო იმ დღეს მიხეილ სადოვნიკოვიც. ავტომანქანის ხმის ყოველ გაგონებაზე გზისკენ გარბოდა. ელოდა ყველაზე ახლობელ ადამიანებს, ელოდა, მაგრამ, ვაი, ამ მოლოდინს: საავტომობილო კატასტროფაში მძიმედ დაშავებული მისი მეუღლე ამ დროს ამბროლაურის საავადმყოფოში ებრძოდა სიკვდილს.

ექიმებმა ვერ შესძლეს დაობლებისაგან ეხსნათ პატარა ტოლია.

მიხეილ სადოვნიკოვმა ცხარედ დაიტირა საყვარელი მეუღლე. დედის ალერსი რომ ვეღარ იგრძნო, საცოდავად კნაოდა ტოლიაც.

გვიან, ძალიან გვიან შეიტყო ანატოლიმ, რომ მის მშობელ დედას ყინულოვანი უღელტეხილის ძირას, შოვის სამხრეთით მდებარე სოფელ გლოლას მიწაზე ძინავს.

მეუღლის დაკრძალვის შემდეგ კაპიტანმა მიხეილ სადოვნიკოვმა, რომელიც მალე ფრონტის წინა ხაზზე უნდა გამგზავრებულიყო, დაობლებული ტოლია ქუთაისში ჩამოიყვანა.

ჩვეული გულთბილობითა და ყურადღებით შეხვდა მიხეილ სადოვნიკოვს საბავშვო სახლის დირექტორი მარიამ სამსონის ასული ლომთაძე. მან ფრონტზე მიმავალი მამა დაარწმუნა, საჯავრებელი არაფერი გაქვთ, ბავშვს მშობლიურ მზრუნველობას არ მოვაკლებთო.

1942 წლის 17 ნოემბერს წულუკიძის სახელობის საბავშვო სახლის აღსაზრდელთა სიას მიუმატეს: „სადოვნიკოვი ტოლია მიხეილის ძე, რუსი, ევაკუირებულია ლენინგრადიდან, დედა დაეღუპა, მამა ფრონტზეა...“

ტოლია ასაკით ყველაზე პატარა იყო, ამიტომ მარიამ ლომთაძე ბიჭს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა. ყველაზე მეტად ეცოდებოდა უდედოდ დარჩენილი, მამის ზრუნვას მოკლებული, ჯერ ფეხაუდგმელი ბავშვი. დიახ, დედური მკერდი მაინც ათბობდა დაობლებულ ტოლიას. იგი თანდათან შეეჩვია ახალ გარემოს. მალე საყვარელ აღმზრდელს „დედაც“ დაუძახა, უჭირდა მისი მოშორება, უიმისოდ ვეღარ ძლებდა. ამის გამო, მარიამი სამსახურიდან სახლში რომ ბრუნდებოდა, ბავშვიც თან მიჰყავდა. ასე შეესისხლხორცა ტოლია ლომთაძეების ოჯახს.

მამაც არ ივიწყებდა შვილს. კარგა ხნის შემდეგ ის კვლავ მოხვდა საქართველოში, სოხუმში, საიდანაც მარიამ ლომთაძეს წერდა:

„ომი ჯერ არ დამთავრებულა... ხვალ, შესაძლებელია, ისევ მოწინავე პოზიციაზე აღმოვჩნდე და, ვინ იცის, რა მომელის. შესაძლებელია ბრძოლის ველზე დავიღუპო. მაშინ, გთხოვთ, ნუ მიმიტოვებთ ტოლიკს, იყავით მისთვის დედა, ისევე, როგორც დღემდე, აღზარდეთ მისგან ნამდვილი პატრიოტი, ღირსეული შვილი ჩვენი შესანიშნავი ეპოქისა... თუ თქვენ ეს გაგიძნელდებათ, მაშინ გამოიძახეთ ჩემი ნათესავები იმ მისამართით, რომელიც თქვენთან არის ჩაწერილი... უღრმესი მადლობელი ვარ თქვენი იმ ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, რომელსაც ტოლიასადმი იჩენთ. ოღონდ, გთხოვთ, ნუ ეტყვით სიმართლეს დედის სიკვდილის შესახებ, ჯობს, ისევ ჯეროდეს, რომ ის საავადმყოფოშია. ხომ იცით, როგორი მგრძნობიარეა ბავშვის გული. დაე, მან ეს მწარე სინამდვილე მაშინ გაიგოს, როცა წამოიზრდება. მოკითხვა გადაეცით თქვენს დებს. ვკოცნი ტოლიკს. მიხეილი“.

ომი იყო, დიდი ომი. ქვეყანას უჭირდა, მაგრამ ანატოლის, ისე როგორც მისი ბედის მოზიარე სხვა ბავშვებს, ალერსი და ზრუნვა არ მოჰკლებია. საბავშვო სახლი იქცა მის მშობლიურ კერად.

გავიდა წლები. ანატოლი წამოიზარდა და სკოლაში შეიყვანეს. პირველი კლასიდანვე ბეჯითად მეცადინეობდა. ალბათ, ბევრ ქუთაისელს მოაგონდება ქერათმიანი რუსი ბიჭის გამოსვლები ნორჩებისა და მოზრდილების აუდიტორიის წინაშე. რა მიმზიდველად, რა გულში ჩამწვდომად ამბობდა იგი ლექსს „შვილობილი“, რომელიც მაშინ პოეტმა ბონდო კეშელავამ უძღვნა პატარა რუს ბიჭუნას:

„დამირბია მტერმა ბინა,
დამიკარგა დედა...
საქართველომ გამიღიმა,
საქართველოს ვხედავ.

მეფერება ცა-ფირუზი,
მეფერება მთები,
მზის სხივებზე იქოჩრება
ჩემი ქერა თმები.

ქართველ ქალმა ჩამიხუტა
ვარდისფერი ბავშვი,
ჩემი ტრფობა ჩაკვირტულა
ხავერდოვან ხმაში.

გადმიშალა დედაენა,
წავიკითხე „ია“,
იამ ყელი მომიღერა,
სითბო შემაფრქვია:

არ იტირო გენაცვალე,
არ იტკინო გული,
სიხარულით შეგეყრება
დედა დაკარგული...“

*

1954 წელს მარიამი გათხოვდა, საბავშვო სახლის დირექტორის მოვალეობისაგან განთავისუფლდა და საცხოვრებლად დაბა მაიაკოვსკში გადავიდა. სხვადასხვა მიზეზით, მან ვერ მოახერხა თან წაეყვანა ტოლია, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში ღვიძლი შვილივით ზრდიდა.

ძნელი იყო დედა-შვილის დაცილება. განსაკუთრებით აუტანელი აღმოჩნდა დაშორება მარიამისათვის. ახლა დედა-შვილი მხოლოდ ბარათებით საუბრობდნენ. რამდენ ტკივილს იტანენ გაყვითლებული ფურცლები, რომლებსაც ანატოლი დღესაც სასოებით ინახავს:

„საყვარელო შვილო, ტოლია!

შენ რომ დაგტოვე, იმ ღამეს, ასე მეგონა, აღარც გული მუშაობდა და აღარც ვსუნთქავდი. გზაზე დაგინახე — თავჩაღუნული, დაფიქრებული მიდიოდი. რაზე ფიქრობდი, დედიკო, იმ წუთებში? ალბათ, შენს დედაზე. შენი დედაც, ისევე როგორც შენ, მივიდა სახლამდე გახევებული. 25 კილომეტრი შენზე ფიქრით ისე გავიარე, თითქოს ერთიც არ გამევლოს. არ ვყოფილვარ კარგი დედა, შენ რომ დაგტოვე. ამ შეცდომას, ამ დანაშაულს გამოვასწორებ...“

„ჩემო საყვარელო შვილო ტოლიკ!

13 თებერვლის შემდეგ არ მინახავხარ და დღემდე განვლილი დრო წლებად მეჩვენება. როგორ ხარ, ჩემო საყვარელო ბიჭო? დარწმუნებული ვარ ჭკუით იქნები და ბეჯითად ისწავლი, თერთმეტ წელზე მეტი გზარდე. და როცა ჩემი შრომის შედეგი თანდათან ნაყოფს ისხამდა, მაშინ დაგვაშორეს ერთმანეთს. მაგრამ, არა! სანამ ცოცხალი ვიქნები, მე შენზე ფიქრსა და მზრუნველობას ვერავინ დამიშლის. ჩემი მზრუნველი ხელი შენ არასოდეს მოგაკლდება, ჩემო საყვარელო შვილო და ჩემო პატარა მეგობარო! შენ ჩემი ცხოვრების სანთელი ხარ და თუ სიკვდილი წინ არ აღმიდგა, ამ სანთელს ვერავინ ჩამიქრობს. არაფერზე იჯავრო. ჭკუით იყავი და კარგად ისწავლე. მე მალე ჩამოვალ. გიგზავნი მცირედ საჩუქარს. მარად შენი დედიკო“.

„ტოლიკ!

მე კიდევ ვერ ჩამოვედი—ავად ვარ... შენი ნახვის სურვილი მკლავს, მაგრამ ფიზიკური შესაძლებლობა არა მაქვს. თუ უკეთ ვიქენი, აუცილებლად ჩამოვალ. გრიშა ბიძია იყო აქ. რაც კარგი გავამზადე მის სამასპინძლოდ, ყველაფერი შენც შეგინახე. როგორ ვიწვალე, რომ არ გამფუჭებოდა. მაცნობე, მარუსია დეიდა თუ გიგზავნის ყოველ კვირას ცხელი საუზმის ფულს. ტოლიკ, ძალიან თბილად გეცვას იმიტომ, რომ ახლა ამინდის ნდობა არ შეიძლება. უპალტოოდ სკოლაში არ წახვიდე. კარგი ბიჭი ხარ — წამალი მალე მივიღე. იყავი სულ კარგად. შენი დედა“.

„ტოლიკ, გენაცვალე, შენ ჩემთვის წერილი უნდა მოგეწერა მეოთხედის დამთავრებასთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერჯერობით არ მიმიღია. რატომ არ მოიწერე? ბავშვი აღარ ხარ და კარგად ჩაუფიქრდი, სწავლაში შენი უკან დახევა (თუ ეს ასეა) რა ცუდი იქნება! თუ ეს ასე მოხდება, მე ვიფიქრებ, რომ შენ დედა არ გიყვარს...

კარგად რომ შევიქნები, აუცილებლად ჩამოვალ და კარგ რამეს გიყიდი. ოღონდ მანამდე თავი არ გაიციო. შენი დედა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პერიოდში ანატოლი მარიამის დასთან — ქეთოსთან ცხოვრობდა, რომელიც დედასავით ზრუნავდა ბავშვზე თავის მეუღლესთან — სერაფიონ გელაშვილთან ერთად.

„ქეთო, — წერდა მარიამი თავის დას, — მე შენს პატივისცემას ვერასოდეს ვერ გადავიხდი. ვეცდები, მაგრამ ვერ შევძლებ. იმ დღეებში ჩემი

**ანატოლის ოჯახი**



სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. სწორედ მაშინ მჭირდებოდა წამოშველება და დიდი მადლობელი ვარ შენი, დიდი მადლობელი ვარ სეფესიც. რაც არ უნდა გწადდეს ადამიანს, თუ თანამგრძნობი მეგობარი არ გყავს, ვერაფერს გახდები. მე ეჭვი არ მეპარება, რომ შენ გაგიჟებით გიყვარს ტოლია, მაგრამ სეფეს რომ ერთი წარბი შეეხარა, რა უნდა გექნა?“

დასასრულ, კიდევ ერთი ბარათი:

„ჩემო საყვარელო, კარგო შვილო, ტოლია!“

დავამთავრე ქეთო დეიდას და სეფე ბიძიას ბარათების წერა. შენი ბარათის წერა კი მოზღვავებული, გულამოსკვნილი ცრემლების დენით დავიწყე. მენატრები, დედიკო, ვიცი, ქეთო დეიდასთან, სეფე ბიძიას ოჯახში შენ თავს ბედნიერად გრძნობ, მაგრამ მეც მინდა ჩემთან ახლოს იყო. იმედი მაქვს, ჩემი სიკვდილის შემდეგ არც ქეთო დეიდა, არც სეფე ბიძია არაფერს გაგიჭირვებენ. შენ ჭკვიანი და მგრძნობიარე ბიჭი ხარ, მაგრამ მე მაინც ჩემი უნდა გითხრა: გახსოვდეს ქეთო დეიდას, სეფე ბიძიას ამაგი. სამაგიერო პატივისცემას მე მათ ვერასოდეს გადავუხდი. შენი იმედი მაქვს, დედიკო“.

* * *

დადგა 1958 წლის გაზაფხული. ტოლია ბეჯითად ემზადებოდა სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად. სურდა, ოქროს მედლით გაეხარებინა დედობილის გული. მარიამს კი ამ დროისათვის ავადმყოფობა ძლიერ გაურთულდა და ლოგინად ჩააგდო. დღედაღამ მასთან იყვნენ მისი დები და ნათესავები, მეზობლები, ახლობლები. გვერდიდან არ შორდებოდა შეშფოთებული ანატოლიც. ქალი, აუტანელი ტკივილებისაგან გაოგნებული. სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა და ყველას ტოლიას მზრუნველობას და პატრონობას სთხოვდა.

— ბედი არ მქონია, ჩემო დაო, — უთხრა ერთხელ თვალცრემლიანმა თავის დას ქეთოს, — ვკვდები. ხომ იცი, საფლავშიც ვერ მოვისვენებ ჩემს ბიჭუნაზე ფიქრით, მივდივარ და გაბარებ მას... შენ იცი და შენმა ქალობამ...“

20 მაისს მარო ლომთაძე გარდაიცვალა...

მეორედ დაობლდა ტოლია. დაკარგა დედა-გამზრდელი, ყველაზე ერთგული მეგობარი. იმ დღეს, როცა ნათესავები და ახლობლები, მთელი ქუთაისის საზოგადოებრიობა უკანასკნელად ეთხოვებოდა მარო ლომთაძეს — შესანიშნავ აღმზრდელ-პედაგოგს, კეთილშობილ ადამიანს და მოქალაქეს, ყველას მზერა ტოლია სადოვნიკოვისკენ იყო მიმართული, ყველას, დიდსა თუ პატარას, სურდა გაცნობოდა მას და ენუგეშებინა.

* * *

ქეთომ შეასრულა დისთვის მიცემული პირობა და არა თუ მიატოვა ანატოლი, არამედ მას, მარიამის სურვილის შესაბამისად, მამაპაპისეული სახლიც კი აჩუქა გელათის ქუჩის შესახვევში, სადაც ანატოლი სადოვნიკოვი ახლაც ცხოვრობს.

ქეთო ლომთაძეს კარგად იცნობენ ქუთაისში. წლების მანძილზე იგი პირველი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმად მუშაობდა, ბოლო წლებში კი ჭიათურაში მოღვაწეობს და ცხოვრობს. მან და მისმა აწ განსვენებულმა მეუღლემ, ექიმმა სერაფიონ გელაშვილმა, ანატოლი მეოთხე შვილად მიიღეს და ობლობა არ აგრძნობინეს.

* * *

როცა ტოლიამ გამზრდელი დედა დაკარგა, სასწავლო წელი იწურებოდა. დამთავრდა გამოცდები, ვაჟმა სიმწიფის ატესტატი მიიღო და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

მშვიდობით, ქუთაისის მეოცე სკოლავ! ანატოლი სადოვნიკოვი ეთხოვება შენს კედლებს. იგი ახლა უკვე ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდაა, მოწინავე კომკავშირელი.

ანატოლის ბავშვობის ოცნება იყო მშენებელი ინჟინერი გამხდარიყო. ამაზე ბევრჯერ უსაუბრიათ დედა-შვილს.

და მართლაც, ანატოლ სადოვნიკოვი იმავე წელს ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

უხარია ანატოლის, რომ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც დედამისი ოცნებობდა. უხარია, მაგრამ ზოგჯერ, როცა საბავშვო სახლში, გამზრდელი დედის ტკბილ ალერსში ლაღად გატარებული დღეები მოაგონდება, გულზე ნაღველი შემოაწვება. მაშინ ის დასცქერის სურათს — მარიამს პატარა ტოლიკი რომ ჩაუკრავს გულში, და ამ დროს აგონდება, რომ მას ჰყავს მამა, რომელმაც იგი აქ, ქუთაისში დატოვა კეთილი და საიმედო აღმზრდელის ხელში, ვისი მეშვეობითაც ობლად დარჩენილი ცეროდენა ბიჭი სრულყოფილ ადამიანად იქცა.

1960 წელს ანატოლიმ განცხადება გაგზავნა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროში, საიდანაც მას აცნობეს მამის ადგილსამყოფელი: ქ. კლინცი (ბრიანსკის ოლქი). და უკვე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტმა, მამას გაუგზავნა ბარათი. პასუხიც მალე მოვიდა:

„შვილო, ჩემო ძვირფასო, გამარჯობა!

მივიღე შენი წერილი, რომელსაც დიდი ხანია ველოდი. მე არ მაბრაზებს შენი წერილის განმსჯელი სიტყვები — შეიძლება, მე ისინი დავიმსახურე. და შენ წილად გხვდა მძიმე განსაცდელი, გამოწვეული ისტორიაში ჯერ არნახული ომით, როცა ირღვეოდნენ არა მარტო ცალკეული ოჯახები, არამედ მთელი სახელმწიფოებიც. დაიღუპა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე. არ დაგვინდო ომმა არც ჩვენ. მან წამართვა ცხოვრებაში ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი — ჩემი მეუღლე და შენი დედა. იგი გარდაიცვალა 1942 წლის 6 ნოემბერს ამბროლაურის საავადმყოფოში. თავის ტვინის შერყევით, რომელიც საავტომობილო კატასტროფის დროს მიიღო... მე არ მქონდა სხვა გამოსავალი და იძულებული ვიყავი დამეტოვებინე ასაზრდელად ქუთაისის საბავშვო სახლში, სადაც იმ დროს დირექტორად იყო მარიამ სამსონის ასული ლომთაძე. მან ძალიან გულღიად მიგიღო და დამარწმუნა, რომ შენ იქნებოდი გარემოცული განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით. მე ჩამოვდიოდი შენთან, სანამ ახლოს ვიყავი. შემდეგ ჩვენ ომმა დაგვაშორა. შენ ქუთაისში დარჩი, მე კი მეომრის ბედი სხვადასხვა ფრონტებზე დამატარებდა. ომი ბერლინში დავამთავრე. აქვე შევხვდი ქალს, რომელიც მერე ჩემი მეუღლე გახდა. შემდეგ გავიდა წლები. დრო შეუმჩნევლად მიედინებოდა და ასე შეუმჩნევლად გავიდა დაახლოებით თექვსმეტი წელი მას შემდეგ, რაც მე, ომში მიმავალმა, უკანასკნელად გაკოცე... ჰოდა, აგერ, წერილი შვილისაგან! როგორი სასიხარულოა და, ამავე დროს, რა მძიმეა ეს ამბავი ჩემთვის! მძიმე იმის შეგნების გამო, რომ არაფერი გაკეთებულა, რათა ეს შენი წერილი რამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმე წლით ადრე მოსულიყო. მაპატიე, შვილო, შენდამი ასეთი გულცივობა. მე ვხრი ჩემს ჭაღარა თავს შენს წინაშე, შენი მსჯავრის წინაშე...“

* * *

ხალისით სავსე სტუდენტობის წლები.. ანატოლის ამხანაგებისა და მეგობრების დიდი წრე გაუჩნდა. ისინი არ აგრძნობინებდნენ ვაჟს უდედმამობას, მუდამ მის გვერდით იყვნენ. აქ იპოვა მან გულისსწორი. რუნიკო ზაქარაშვილი და ანატოლი თავიდანვე დაუმეგობრდნენ ერთმანეთს: ერთად მეცადინეობდნენ, გამოცდებსაც ერთად აბარებდნენ, აკადემიურ შეფასებასაც თითქმის ერთნაირს იმსახურებდნენ. მათი გვარებიც ერთად გამოჩნდა პრესაში. „მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან სტუდენტები... რ. ზაქარაშვილი და ა. სადოვნიკოვი“, — წერდა გაზეთი „ქუთაისი“ 1963 წლის 30 ივნისის ნომერში. ტოლიამ მთლიანად გადაუხსნა გული რუნიკოს, უამბო მას თავის წარსულზე, გამზრდელ დედაზე, ყველაფერზე, ყველაფერზე...

ყოველი წლის 20 მაისს, მარო ლომთაძის გარდაცვალების დღეს, ისინი ერთად მიდიოდნენ სასაფლაოზე და ყვავილებით ამკობდნენ მის საფლავს.

შემდეგ ანატოლი და რუნიკო დაქორწინდნენ, სამუდამოდ შეერთდნენ, რათა ერთად ზიდონ დიდი ცხოვრების უღელი. ტოლიას მეგობრები და დეიდა ქეთო კმაყოფილებით შეხვდნენ მის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს, ხოლო რუნიკოს მშობლებმა სიძე ღვიძლი შვილივით შეიყვარეს.

1964 წლის ივნისში ახლადდაქორწინებულებმა „ფრიადზე“ დაიცვეს სადიპლომო გეგმარები და ინჟინერ-მშენებლის დიპლომებით დაუბრუნდნენ მშობლიურ ქუთაისს. კარგა ხანია, ინჟინერი რუნიკო ზაქარაშვილი ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში მუშაობს, ინჟინერი ანატოლ სადოვნიკოვი კი — მშენებლობაზე.

— არასოდეს დამავიწყდება, — იგონებს ანატოლი, — როგორ შემხვდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები, მათ უმაღლესი სასწავლებლის წარმატებით დამთავრება მომილოცეს და, როგორც კომუნისტს, რეკომენდაცია მომცეს ქუთაისის № 4 სამშენებლო ტრესტის მეოთხე სამმართველოში სამუშაოდ. ასეთივე ძამობრივი გულისხმიერებით შემეგება მეოთხე სამშენებლო სამმართველოს უფროსი კონსტანტინე აბესაძე, რომელსაც უკვე გაეგო, რომ მე საბავშვო სახლის კოლექტივისა და უკეთილშობილესი ადამიანის — მარიამ ლომთაძის მიერ ვიყავი აღზრდილი.

* * *

თუ თქვენ ამ დღეებში წულუკიძის ქუჩის მეექვსე შესახვევში შეივლით, აუცილებლად შეამჩნევთ მშენებელ ადამიანთა საქმიან ფუსფუსს. აქ საფუძველი ეყრება 280-ადგილიან საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობას, რომელსაც ხელმძღვანელობს საბავშვო სახლში აღზრდილი, ახალგაზრდა ინჟინერი, კომუნისტი ანატოლ სადოვნიკოვი. აქ, ამ ნათელ შენობაში გაიზრდება მისი პირმშო, რომელსაც ანატოლიმ, დედის პატივსაცემად, მარიამი დაარქვა. ხშირად შეჩერდება პატარა მარი სადოვნიკოვა თავის საწოლთან ჩამოკიდებული სურათის წინ და ტიკტიკებს:

„ეს ჩემი ბებიაა, მარო ბებია...“

* * *

ანატოლ სადოვნიკოვი მალე ოცდაექვსი წლის გახდება. დასრულებული ვაჟკაცია. მას ახლაც ხშირად აგონდება ბავშვობის დღეები, პატარა ბიჭი სცენაზე და თვალცრემლიანი მაყურებლები. ახლაც ხშირად იმეორებს გულში საყვარელ ლექსს, რომელიც გადაუშლის მოგონებათა ფურცლებს, გაახსენებს წყეულ ომს, რომლის სისასტიკემ საკუთარი დედის ალერსი წაართვა და მამა ჩამოაცილა. თვალწინ დაუყენებს თავის გამზრდელ დედას, მოაგონებს მშობლიურ საბავშვო სახლსა და სკოლას, აღმზრდელ-მასწავლებელთა და აღსაზრდელთა კოლექტივს, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებმაც არ მოაკლეს ზრუნვა და ადამიანური სითბო, გაზარდეს, ასწავლეს, დაავაჟკაცეს.

ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში პოეტს, როცა პატარა ტოლიას ანუგეშებდა: „არ იტირო, გენაცვალე, არ იტკინო გული, სიხარულით შეგეყრება დედა დაკარგული..“

**გ. ჟურაშვილი**

# წერილი ლონდონიდან

ჩვენს მკითხველებს ალბათ ახსოვთ თამარ დრაგაძის სახელი. ეს ქართველი ქალიშვილი ლონდონში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისმა რომანებმა ინგლისელი მკითხველის საყოველთაო აღიარება მოიპოვა. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია კიდევ ერთხელ გადაათვალიეროს ჩვენი ჟურნალის 1967 წლის № 6-ში მოთავსებული გურამ ფანჯიკიძის წერილი, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი თამარის შესახებ. რედაქციამ ჟურნალი თამარსაც გაუგზავნა. და აი, სულ ახლახან ლონდონიდან მოვიდა მისი ბარათი:

„ძვირფასო რედაქტორო და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებო. ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო თქვენი თბილი წერილის და ჟურნალის მიღება. მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემი პირველი ურთიერთობა, რომელიც დამყარდა თქვენთან, იყო სწორედ „საქართველოს ქალის“ საშუალებით. გურამ ფანჯიკიძის წერილი გამსჭვალულია წმინდა სულიერი გრძნობით...

მე მთელი ჩემი გულით მწყურია საქართველოს ნახვა! ამასთან ერთად, მინდა ვისარგებლო შემთხვევით, თანაც ჩემ თავს მივცე უფლება ვიყო თქვენი კორესპონდენტი ლონდონში და გადმოგცეთ, რომ საქართველოს ცეკვის ანსამბლს ლონდონში აქვს საოცარი წარმატება. დიდი მადლობელი ვარ ქალბატონ ნინო რამიშვილის და ბატონ ილიკო სუხიშვილის, რომლებმაც პატივი დამდეს, რომ ყოველ საღამოს დავსწრებოდი კონცერტებს და მართლაც, ეს უზარმაზარი დარბაზი „ალბერტ ჰოლისა“ ყოველთვის სავსე იყო ხალხით. მათ შესახებ ბევრი რამ იწერებოდა გაზეთებში. შესანიშნავი რეცენზია იყო გაზეთ „სანდეი ობზერვარ-ში“ რომლის ავტორი იყო ბალეტის უმკაცრესი კრიტიკოსი ალბერტ ბლენდი.

მთელი ჩემი ნაცნობები, რომელთაც ბედი ეწვიათ, არამც თუ ენახათ ეს შესანიშნავი ანსამბლი, არამედ დალაპარაკებოდნენ კიდევაც მის წევრებს — დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ სახლებში.

ამიტომაც, მართლაც რა ბედნიერებაა გქონდეს ახლო ურთიერთობა საქართველოსთან.

მალე შეხვედრამდის.

აი, ჩემი წერილი!!!

თამარ დრაგაძე“

ეროვნული

# ოქტომბრის თემა

კიდევ ერთი თვე და საბჭოთა ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს.

ოქტომბრის რევოლუციის 50 წელი!

ოქტომბრის თემა ღაღადებს ყველგან საიუბილეო წლის დამდეგიდან. ოქტომბრის თემა ღაღადებს სამრეწველო საწარმოებში და ბარაქიან საკოლმეურნეო მინდვრებზე, ახალ მშენებლობებზე და სამეცნიერო ლაბორატორიებში, შემოქმედებით ორგანიზაციებში და უმაღლეს სასწავლებლებში...

ყოველი მხრიდან მოდის ცნობები სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე მიღწეულ ახალ გამარჯვებათა შესახებ, იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც მთელს ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება იუბილეს აღსანიშნავად.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს გვინდა გავაცნოთ ის ღონისძიებანი, რაც ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში განხორციელდა დიდი ოქტომბრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს შესახვედრად. სიტყვას ვაძლევთ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეს ამხ. ვლადიმერ იაქაშვილს. აი რა გვიამბო მან:

— საიუბილეო მზადება კულტურის სამინისტრომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დაიწყო. ახალი დადგმები, რომლებიც გასულ სეზონში ჩვენი რესპუბლიკის თეატრებმა განახორციელეს და სპექტაკლები, რომლებსაც წლევანდელ სეზონში იხილავენ მაყურებლები, ოქტომბრის თემითაა გამთბარი. ეს არის პიესები საბჭოთა ადამიანის მაღალ სულზე, მის კეთილშობილებასა და სპეტაკ მორალზე, მის დიდებულ იდეებზე, გმირულ საქმეებზე, ეს არის პიესები საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანებზე, ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად დაღვრილ სისხლზე, ერთა შორის ძმობასა და მეგობრობაზე.

თეატრების რეპერტუარში ორიგინალურ პიესებთან ერთად, შეტანილია მოძმე ერების დრამატურგთა თუ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ქართველი მაყურებელი ტაშს უკრავდა ვ. დარასელის „კიკვიძეს", ნ. დუმბაძის „მზიან ღამეს", ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას" (რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი), ჩ. აიტმატოვის პიესას: „ჩემო ალვის ხეო" (გრიბოედოვის სახელობის თეატრი). დიდი ყურადღება ექცევა თეატრში ახალგაზრდა, ნიჭიერ დრამატურგთა მოზიდვას. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა განახორციელა გ. ხუხაშვილის პიესის — „გზების" („ცხოვრება კაცისა")—დადგმა (რეჟისორები გ. ლორთქიფანიძე, ი. კაკულია), მოზარდმაყურებელთა ქართულმა თეატრმა დიდი წარმატებით უჩვენა ნორჩ მაყურებელს რ. მამულაშვილის „ძია ელიოზი" (რეჟისორი შ. გაწერელია), რუსულ მოზარდმაყურებელთა თეატრში კი ცნობილი დრამატურგის ა. არბუზოვის „ჩემი საბრალო მარატი" დაიდგა. ბათუმელი მაყურებელი კმაყოფილებით შეხვდა ახალგაზრდა დრამატურგის ა. სამსონიას პიესას „ზღვა და სიყვარული". ჩვენმა სახელოვანმა მსახიობმა და რეჟისორმა აკაკი ვასაძემ ქუთაისის თეატრის სცენაზე ს. შანშიაშვილის „ანზორის" ახმეტელისეული დადგმა აღადგინა. ცხინვალის თეატრის ოსურმა დასმა წარმატებით უჩვენა ისტორიულ-რევოლუციური პიესა — უგრიმოვის „დაწყევლილი ოჯახი", ხოლო ქართულმა დასმა — აკ. გეწაძის „თოფი და სიყვარული".

წარმატება ხვდა რაიონული თეატრების დადგმებსაც:

ჭიათურის თეატრის სცენაზე დაიდგა გ. ხუხაშვილის პიესა „ცხოვრება კაცისა", მახარაძის თეატრმა ბ. ლავრენიევის „რღვევა" და გრ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი" განახორციელა. გორის თეატრმა წარმატებით დადგა ნ. პოპოვის „ოჯახი" და გ. ნახუცრიშვილის ისტორიული ქრონიკა „შუქი მიწიდან". დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს მიუძღვნეს თავიანთი სპექტაკლები თელავის, ზუგდიდის და ფოთის თეატრებმა.

გრძელდება საიუბილეო სპექტაკლების დათვალიერება-კონკურსი, რომელიც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და თეატრალურმა საზოგადოებამ გამოაცხადა. კონკურსის შედეგები სანოემბროდ შეჯამდება.

ამჟამად საიუბილეო მზადება უკანასკნელ ფაზაში შევიდა. ჩვენმა თეატრებმა უნდა აღადგინონ რაც საუკეთესო შეუქმნიათ და მაყურებელს ახალ დადგმებთან ერთად უჩვენონ. ახალი კი ცოტა როდია! ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი დგამს ო. თაქთაქიშვილის ოპერას „ნოველები", მ. ჯავახიშვილისა და გ. ტაბიძის ნაწარმოებთა მიხედვით. იდგმება კომპოზიტორ ფილიპე ღლონტის ბალეტი „ილიადა. 1917 წელი". დიად იუბილეს მიუძღვნეს თავიანთი ახალი ნაწარმოებები კომპოზიტორებმა: ო. გორდელმა, ს. ნასიძემ, ს. ცინცაძემ, ი. ბობოხიძემ, ვ. აზარაშვილმა, ტ. ბაქრაძემ, ო. თევდორაძემ. ოქტომბრისადმია მიძღვნილი შალვა მშველიძის ოპერა „ჯარისკაცის ქვრივი" და ალ. შავერზაშვილის „ახალ ნაპირთან". ვფიქრობთ, მაყურებელი კმაყოფილებით შეხვდება მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე დადგმულ ოპერეტებს: გ. ცაბაძის „ჩემი საყვარელი ქუჩა"; ს. ცინცაძის „სიმღერა ტყეში", ნ. გაბუნიას „ჩემი შვილი სიმონი", შ. მილორავას „ბოდიში, კომისარო", და ალ. შავერზაშვილის „ნინოს". რუსთაველის თეატრი საშვიდნოემბროდ წარმოადგენს რ. ებრალიძისა და ს. დოლიძის პიესას — „ჩვენ, მისი უდიდებულესობა". ეს პიესა საქართველოს მუშათა კლასს მიეძღვნა, მასში ასახულია ქართველ ელმავალმშენებელთა ცხოვრება. მარჯანიშვილის თეატრი განახორციელებს აკ. გეწაძის მეტად საინტერესო პიესას— „ეშმაკები ჯოჯოხეთში". სცენაზე ვიხილავთ აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცების" გმირებს. გრიბოედოვის სახელობის თეატრი დგამს გ. მდივნის პიესას „ძია მიშას", სომხური თეატრი — სლავინის „ინტერვენციას". ვფიქრობთ მაყურებელი ინტერესით შეხვდება ქ. რუსთავის — ახლადშექმნილი თეატრის დადგმებს, ესაა რ. თაბუკაშვილის „ჯვარცმული კუნძული" და ო. იოსელიანის „მთასვლელები". პირველი პიესა კუნძულ ტექსელზე მომხდარ აჯანყებაზე მოგვითხრობს. მეორე კი თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების ცხოვრებას გვიხატავს. საიუბილეო დღეებში მოეწყობა თეატრების საუკეთესო სპექტაკლთა კვირეულები. თბილისში გაიმართება აგრეთვე კონკურსში გამარჯვებული სპექტაკლების დეკადა.

ბევრი რამ შეგვეძლო გვეთქვა ქართული სახვითი ხელოვნების, მისი საიუბილეო სამზადისის შესახებ. მრავალრიცხოვანი დამთვალიერებელი ჰყავდა ხალხური შემოქმედებისა და თვითნასწავლი მხატვრების რესპუბლიკურ გამოფენას, რომელიც ამ ზაფხულს მოეწყო საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში. ეს გამოფენა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცის 50-ე წლისთავს მიეძღვნა. აქედან საუკეთესო ექსპონატები საკავშირო გამოფენაზე იქნა გაგზავნილი, მოსკოვში. დიად თარიღს მიეძღვნა აგრეთვე საქართველოს სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ივნისში მოეწყო. ცნობილია ის დიდი ინტერესი და ყურადღება, რომლითაც ქართველი საზოგადოება შეხვდა თბილისში, მოსკოვის კვირეულის ჩატარებისას, მოსკოვის მხატვრების ესტამპის გამოფენას...

ოქტომბრის თემა ფრთას ასხამს ქართველ მხატვართა ჩანაფიქრს, მათ ტილოებს. 270 ავტორის 800-მდე ნაწარმოები შეირჩა სახვითი ხელოვნების რესპუბლიკური გამოფენისათვის, რომელიც სექტემბერში უამრავმა მაყურებელმა დაათვალიერა. აქ წარმოდგენილი იყო ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, პლაკატი, თეატრალურ-დეკორაციული და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. მათგან საუკეთესოები უკვე გაიგზავნა საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში, სადაც საკავშირო საგამოფენო კომიტეტმა ვრცელი ფართობი გამოგვიყო ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში.

დიადი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის ბევრი რამ გაკეთდა კულტურულ-საგანმანათლებლო ხაზითაც. მკითხველებს ახსოვთ, ალბათ, რა ორგანიზებულად და მაღალმხატვრულ დონეზე ჩატარდა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ფესტივალი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა მხატვრული თვითმოქმედების თითქმის ყველა სახეობა. თბილისელმა მაყურებელმა იხილა და მოუსმინა დრამატულ, საგუნდო და ქორეოგრაფიულ კოლექტივებს, გაეცნო კინომოყვარულთა ნამუშევრებს. მუსიკალური კოლექტივების რესპუბლიკური ფესტივალის დასკვნით ტურში (15-24 ივნისი) წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მხატვრული კოლექტივები. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს მახარაძის, ახალციხის, ახმეტის, თელავის, დუშეთის, ლენტეხის, ქარელის, ჩხოროწყუს, გარდაბნის, ჩოხატაურის, გურჯაანის სარაიონო კულტურის სახლებთან არსებულმა სიმღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისა და ცეკვის ანსამბლებმა, ბათუმის კომუნალური მეურნეობის ქორეოგრაფიულმა და ვოკალურმა ანსამბლმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიურმა ორკესტრმა, ქუთაისის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივმა და კიდევ ბევრმა სხვა კოლექტივებმა, რომლებიც პირველი ხარისხის დიპლომებით დავაჯილდოვეთ.

შესანიშნავი შედეგი მოგვცა სახალხო თეატრებისა და დრამატული კოლექტივების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ, რომელიც აპრილში მოეწყო. I და II ტურებში მონაწილეობა მიიღო 37 სახალხო თეატრმა და 800 დრამატულმა კოლექტივმა. ხოლო ცხაკაიას, ბოლნისისა და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრების დადგმები: „ტეხურის პირას", „კოლმეურნის ქორწინება" და „კიკვიძე" სახალხო თეატრების სრულიად საკავშირო დათვალიერებისას დიდი მედლებით დაჯილდოვდნენ.

აპრილში ჩატარდა კინომოყვარულთა მიერ შექმნილი ფილმების რესპუბლიკური ფესტივალი, დემონსტრირებული იქნა 87 ფილმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია თელავის, ბათუმის და საქჰიდროელექტრომშენის კინომოყვარულთა ფილმები. ჩვენი რესპუბლიკიდან კინომოყვარულთა საკავშირო ფესტივალზე 16 ფილმმა მიიღო I, II და III ხარისხის დიპლომები.

ამჟამად რომელ ბიბლიოთეკაშიც არ უნდა შეიაროთ, ყველგან აუცილებლად იმართება კონფერენციები თემებზე: „მამათა გზით", „მშობლიური მიწა", „მათ ასახელეს დედა-სამშობლო" და სხ. აქვე შეხვედრები ოქტომბრის რევოლუციისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, ძველ ბოლშევიკებს, მეცნიერებს, მწერლებს, შრომის გმირებს. ნახავთ გამოფენებს, რომელნიც ასახავენ ჩვენი ხალხის მიღწევებს ამ 50 წლის მანძილზე. კულტურის სახლები, კლუბები, მუზეუმები ემზადებიან დიადი თარიღის შესახვედრად. ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში მისული ადამიანები ახალ ექსპოზიციებს ნახულობენ; ამ ექსპოზიციებში ასახულია საბჭოთა პერიოდი, ამ პერიოდს მიეძღვნა მუზეუმთა სამეცნიერო სესიები, რომელნიც მაღალხარისხოვნად ჩატარდა ყველგან.

შეიქმნა მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების, დასვენებისა და გართობის ყველა პირობა. თითქმის ყველა კულტურის სახლსა, კლუბსა და ბიბლიოთეკაში ჩატარდა კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, შეივსო ისინი ახალი მუსიკალური ინსტრუმენტებითა და ავეჯით. გაფართოვდა სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, გაიხსნა ახალი კულტურის სახლები, კლუბები და ბიბლიოთეკები. სასოფლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი ახალ, კეთილმოწყობილ ბინებს იღებენ. ასეა, მაგალითად, საჩხერეში, ქობულეთში, ლენტეხში, ზნაურში, თიანეთში, ყაზბეგში. ამ მიმართულებით კიდევ მრავალის თქმა შეგვიძლია...

გვიახლოვდება ჩვენი დიადი ქვეყნის ბრწყინვალე ზეიმი. კულტურისა და დასვენების პარკები დიდი ხანია ემზადებიან თეატრალიზებული დღესასწაულების ჩასატარებლად, ატარებენ მრავალ ღონისძიებებს. დამსვენებლებს ელის სადღესასწაულოდ მორთული თბილისის მთაწმინდის, ვაკისა და ორჯონიკიძის სახელობის პარკები, ქუთაისის, რუსთავის, გორის, სამტრედიის ბაღნარები... ოქტომბრის სალუტებს შეუერთდება ჩვენი ადამიანების, ჩვენი ბავშვების, შრომისა და ბრძოლის ვეტერანების ხმა.

მრავალი 50 წელი გეზეიმოთ ბედნიერი ქვეყნის ბედნიერო შვილებო!

# ႡႤႥႰႨ ႠႵႥႱ ႫႭႱႠႢႭႬႠႰႨ



ახსოვს, კარგად ახსოვს ხანდაზმულ ბარბარე ივანეს ასულ როსტომაშვილს 1905 და 1917 წლების რევოლუციის ბობოქარი დღეები, ხალხის მასობრივი გამოსვლები დრომოჭმული წყობილების წინააღმდეგ.

მას მოსაგონარი და საამბობი ბევრი აქვს.

საინტერესო, ამაღელვებელი ეპიზოდებით იყო აღსავსე ბარბარეს ცხოვრება.

...მოსკოვი, 1905 წელი. დაიწყო დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შფოთიანი დღეები. ბარბარე როსტომაშვილი იმ დროს სწავლობდა და თან მოსკოვის დრამატულ თეატრში მსახურობდა. ცხოვრობდა პროფესორ გესენის ბინაზე. პროფესორი 1905 წლის მღელვარე დღეებში პარიზს გაიქცა და უზარმაზარ სახლში ბარბარეღა დარჩა. არ შეშინებულა ქართველი ქალიშვილი. იგი ჩვეული მონდომებით აგრძელებდა სწავლასა და სამსახურს.

მოსკოვი ღელავდა, შეწყდა მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში, ხალხი გამოდიოდა ქუჩებში წითელი დროშების ფრიალითა და „მარსელიოზის" სიმღერით, სამრეკლოებიდან და მაღალი სახლების სახურავებიდან ისმოდა მეფის დამქაშების, ტყვიამფრქვევების გულშემზარავი კაკანი.

ბარბარე როსტომაშვილმა გესენის მიტოვებულ ბინაში მიიწვია მოსკოვში მყოფი ქართველი სტუდენტები: ოლღა მირზაშვილი, ვასო კანდელაკი, ძმები ალიოშა და სამსონ წუწუნავები, შალვა შოთაძე, ალიკო ხირსელი და სხვები. შეიქმნა ქართველი ახალგაზრდების რევოლუციური ჯგუფი, რომლის საქმიანობის შესახებ მოსკოვის რევოლუციის მუზეუმში შემონახულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

...ბოგოსლოვსკის შესახვევში დაიწყო ბარიკადების შენება, მასალად გამოყენებული იქნა ბ. როსტომაშვილის სახლის ავეჯი. საიდანღაც გამოჩნდა მარხილი. ბაბომ მაშინვე გადახია თავისი წითელი აბრეშუმის კაბა და მარხილზე დროშად ააფრიალა. მისი ბინის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ლაზარეთს, სადაც ათავსებდნენ და გულმოდგინედ მკურნალობდნენ დაჭრილ მებრძოლებს.

დიდი პატივისცემით მოეწყო მუშა-რევოლუციონერის ნ. ბაუმანის დაკრძალვა. დემონსტრაციასა და პროცესიის კოლონას წინ უძღოდა წითელი დროშა, რომელიც ხელში ეჭირა ბარბარე როსტომაშვილს.

ცარიზმი მკაცრად გაუსწორდა რევოლუციონერებს, მრავალი მებრძოლი დაეცა ბრძოლაში, მრავალი დააპატიმრეს...

ახალგაზრდა რეჟისორ სერგეი ვორონოვთან ერთად ბაბო სოხუმში გამოემგზავრა. ეს ორი ნიჭიერი ახალგაზრდა წმინდა სიყვარულით დაუკავშირდა ერთმანეთს, მათ გადაწყვიტეს ბოლომდე ებრძოლათ გამარჯვების მოსაპოვებლად.

ბაბომ და სერგეიმ მოსკოვიდან წამოიღეს პროკლამაციები და აკრძალული ლიტერატურა; მათ მრავალი სოხუმელი ჩააბეს რევოლუციის საქმეში.

...1917 წელს ბ. როსტომაშვილი კვლავ მოსკოვშია. ერთ ღამეს, საკმაოდ გვიან, ბაბოს კარებზე გაისმა კაკუნი. ახალგაღვიძებულ ქალს შეიარაღებული ჯგუფის უფროსმა განუცხადა: ეს ბინა შერჩეულია რევოლუციონერების თავშესაყარადო. მალე მთელი შენობა გარდაიქმნა ხიმაგრედ: ფანჯრებზე გაჩნდა საბნები და ბალიშები. დადგეს ტყვიამფრქვევი...

გათენებისთანავე დაიწყო ბრძოლა. წიოდა ტყვიები, კაკანებდა ტყვიამფრქვევები, ბ. როსტომაშვილი სტენიდა იარაღს, უხვევდა დაჭრილებს ჭრილობებს.

...თითქმის ექვსი ათეული წელი გაატარა ბ. როსტომაშვილმა ქართული და რუსული თეატრების სცენებზე. მას, როგორც ნიჭიერ მსახიობს, მუდამ მოწონებით ხვდებოდა ხალხი.

ბარბარე როსტომაშვილი ახლა 84 წლისაა, იგი პერსონალური პენსიონერია და ცხოვრობს ხან თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში, ხან სოხუმში. მას ყველა აფასებს და პატივს სცემს.

შალვა მარკოზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**კეთე კოლვიცის დაბადების 100 წლისთავის გამო**

ხალხთა მშვიდობის, ბედნიერებისა და მეგობრობის უდიდეს მებრძოლთა შორის, საქვეყნოდ ცნობილ გერმანელ მხატვარ ქალს — კეტე კოლვიცს ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს. მისმა შესანიშნავმა შემოქმედებამ მილიონობით ადამიანთა გული დაიპყრო, აავსო კაცთმოყვარეობით, სიკეთისათვის ბრძოლის წყურვილით; კეტე კოლვიცის ნამუშევრები მოუწოდებდნენ ადამიანებს ბოლო მოეღოთ ომის საშინელებისათვის, საძულველი ფაშიზმისათვის.

ცნობილია, თუ რა დიდი სიმპატიით ეპყრობოდა კეტე კოლვიცი საბჭოთა ქვეყანას, მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე; დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავზე მან თვალ იხილა საბჭოთა ხალხის უმაგალითო შრომა, წინსვლა და წარმატება. ჩვენს ქვეყანაში ნახულით აღტაცებულმა მხატვარმა ქალმა შექმნა შესანიშნავი ჩანახატები და ლითოგრაფიები, რომლებიც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას მიუძღვნა.

ლუნაჩარსკიმ კეტე კოლვიცს დიდებული აგიტატორი უწოდა. და მართლაც, მის მიერ დახატული მუშმშეთრთული დედები, შიმშილისაგან გაძვალტყავებული ბავშვები, მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამდგარ ხალხთა მრისხანე სახეები ადამიანებს მოუწოდებენ, ალაგზნებენ სამართლიანობისათვის. კეტე კოლვიცი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ხმა აღიმაღლა და მთელი ძალითაც იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. მისი კეთილშობილი სიცოცხლე მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე შეწყდა. გერმანელი პატრიოტი ქალი ვერ მოესწრო ენახა მშობლიურ ქვეყანაში მუშათა და გლეხთა სახელმწიფო, მაგრამ მისი შემოქმედება კვლავ რჩება დიდ გაფრთხილებად — აღარ დავუშვათ ქვეყნიერებაზე ბარბაროსული ფაშიზმის ბატონობა, აღარ დავუშვათ უსამართლო ომის საშინელება!

კეტე კოლვიცზე მრავალი რამ დაწერილა და კვლავაც დაიწერება, მაგრამ ამ პატარა წერილში გვინდა მოგითხროთ ერთი ამბავი. ამბავი ქართველ ქალიშვილზე — კეტე მოდებაძეზე, რომელსაც დიდმა მხატვარმა ქალმა თავისი „სეხნია შვილიშვილი" უწოდა.

ომამდელი თბილისი. გერმანული სკოლა, სადაც სამი და — მოდებაძეები სწავლობენ. უმცროსს კეტე ჰქვია. მოწინავე მოსწავლე, „რემედასის" აქტივისტი გოგონა, ისე კარგად ფლობს გერმანულსა და ფრანგულ ენებს, რომ თავისუფლად აწარმოებს მიმოწერას საზღვარგარეთის ბავშვებთან. ეს არც გასაკვირია, რადგან მამამისს — ძველ ბოლშევიკ კარპე მოდებაძეს ხშირად უხდებოდა ოჯახით ცხოვრება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში...

და ერთ მშვენიერ დღეს კეტე მოდებაძის სახელზე ბერლინიდან წერილი მოდის. მას ხელს აწერს სახელგანთქმული მხატვარი ქალი კეტე კოლვიცი: „ქვეყანაში, სადაც ნარინჯები ხარობენ, სეხნია შვილიშვილს, პიონერს, კეტე მოდებაძეს.. ძლენად ხურათი „გერმანიის ბავშვები შიმშილობენ". პირდაპირ მნახველისაკენ გაწვდილი, დამშეულ ბავშვთა გაძვალტყავებული ხელები... სიბრალულით ივსება საბჭოთა ბავშვის გული. მას არ შეუძლია ხელი გაუწოდოს, ქართული ხილით აავსოს გერმანელ ბავშვთა პატარა ხელები, რადგან გერმანიაში დათარეშობს საძულველი ფაშიზმი... კოლვიცის სახელოსნოში ჩხრეკაა, ანტიფაშისტი ქალი საყელოში შხამის ამპულას ინახავს... ფაშისტებმა კარგად იციან მისი უდიდესი სიმპატიები საბჭოთა ქვეყნისადმი, იცნობენ მის ლითოგრაფიებს: „მოსამსახურენი" და „სოლიდარობა", რომლებიც მხატვარმა ქალმა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ შექმნა. კეტე კოლვიცის ამ ლითოგრაფიებში წარმოდგენილია ხელიხელგადაჭდობილი მშრომელები, „ჩვენ ვიცავთ საბჭოთა კავშირს" — ხმიანობს წარწერა.

კეტე კოლვიცი ბავშვთა დიდი მეგობარი იყო. 1942 წელს მან შექმნა ლითოგრაფია, რომელმაც მთელი მსოფლიოს კეთილშობილ ადამიანთა გული შეძრა და აალელვა: „თესლი მოსავლისა, რომელიც არ უნდა გაილეწოს". სამი ბავშვის თავი (ისინი ხომ დედამ სიცოცხლისათვის გააჩინა, გამოკვება) და დედის გაშლილი ხელები, იმედიანი, ათრთოლებული. დედა მთელი სხეულით და არსებით გადაფარებია შვილებს; არა, არ დაანახვებს მათ თვალებს ჯოჯოხეთური ომის საშინელებას... მაგრამ კეტე კოლვიცის პატარა ქართველმა სეხნიამ იხილა ომი — კეტე მოდებაძე 1942 წელს მოხალისედ წავიდა ომში. იგი წინა ხაზზე მიისწრაფვის, რათა ყველაფერთან ერთად ბებია კეტე დაიხსნას ფაშიზმისაგან.

ქალიშვილს შინელი აცვია — „გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი კეტე კარპეს ასული მოდებაძე". ფრონტულ ფოლკლორში არაერთხელ ისმის სიმღერა მასზე. ვინ გადაჰყრა რკინიგზის ხერხემალი საიერიშო ქალაქზე? — შენიღბულ ხალათში გამოწყობილმა ხუსტმა ქალიშვილმა!

1944 წელი... გალეწილია ოქროსფერი თავთავი... ფაშისტებმა ტყვიამფრქვევის ჯერით მოცელეს მოდებაძეების უმცროსი ქალიშვილი.

ნეტავ როგორ ძეგლს აღუმართავდა კეტე კოლვიცი თავის სეხნიას?

მედეა აფრიდონიძე,
ზაირა ისაკოვა.








ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენიკ სეირანიანი

# ამ მღელვარე დღეებში

მოთხრობა

მხატვარი ჟასმინა სარაბიანი

არაჩვეულებრივი, მზიანი გაზაფხული იდგა, ათასი მხრიდან მოვარდნილ ნაკადთა ცელქი ჩქრიალით, ნორჩ ყვავილთა გამაბრუებელი სურნელით, მზისა და დედამიწის მცხუნვარე ამბორით ალმოდებული, ბობოქარი გაზაფხული.

საკლასო ოთახის ფანჯარასთან მდგომი ანაჰიტა ხარბად მისჩერებოდა მომჯადოებელ ბუნებას, გრძნობდა, თუ რა ძალუმად უძგეროდა გული, გალიაში გამომწყვდეული გარეული ფრინველის მსგავსად.

კლასში ჭორფლიანი ბავშვი წამომდგარიყო და ტიტინებდა:

„ლურჯი თავით,
მწვანე ფეხით...“

ანაჰიტა ვითომ უსმენდა, სინამდვილეში კი ფიქრით გარეთ ჰქროდა, შარშანდელი მღელვარე გაზაფხული აგონდებოდა. მოგონებები თავს ისე ეხვეოდა, როგორც შემოდგომის მიწურულს ფათერაკს გამოქცეული ფრინველთა გუნდი. ეს მოგონებები უფორიაქებდა სულს და ოცნება შორს, შორს მიჰქროდა.

სკოლა გორაკზე იყო წამომდგარი. მისი მთავარი კედლის კიდესთან ხრამი იწყებოდა. ხრამი დაბლა ეშვებოდა და დაბას ორ ნაწილად ჰყოფდა. მის ძირში გიჟმაჟი მდინარე მიედინებოდა, რომლის მღვრიე, ადიდებული წყლის დგაფუნი იქვე მდგომი წისქვილის ხმაურს აყრუებდა.

ნახევრადდანგრეული წისქვილის ბანზე გულქრელა, წვრილ-წვრილ ყვავილებს ამოეყოთ თავი.

ამ ძველი შენობის ზევით, იქ, სადაც მდინარე უხვევდა და ხავსმოდებულ დაბლობზე იფანტებოდა, ტირიფებს შორის მიმავალი გზა მოჩანდა. ახლა ის გზა მზეში ლივლივებს. იმ ღამეს კი, როცა ანაჰიტა და ის ვაჟი მუსაიფით ნელა მიდიოდნენ შინისკენ, როცა ვაჟმა მხურვალე ხელი მიუახლოვა ქალის ხელს, მაგრად ჩასჭიდა და შეაჩერა, მთვარეს ვერცხლის სხივებით მოეფინა ის გზა.

ირგვლივ არავინ იყო. თითქოს წყალსაც შეეწყვიტა ჩქრიალი. შორიახლო მოციმციმე ლამპების შუქი მგლის თვალებად ეჩვენებოდათ ორივეს. ქალს შეაჟრჟოლა.

მღელვარებისაგან დამუნჯებულ ვაჟს თითქოს დავიწყებოდა სათქმელი. ქალისათვის ჩაეჭიდა ხელი და მდუმარედ მისჩერებოდა. მშუხარება იყო ჩაქსოვილი მათ დუმილში.

ტყეში გაისმა დაგვიანებული ფრინველის ჭახჭახი. ვაჟი გამოაფხიზლა მისმა ხმამ.

— ანაჰიტა, არ ვიცი, კიდევ დავესწრები გაზაფხულს, თუ ეს უკანასკნელი იქნება. არეული დროა. მინდა, რომ იცოდე, მინდა, რომ გაიგო...

— გაჩუმდი, ენოქ, გაგონება აღარ მინდა არც ერთი სიტყვისა,— ქალმა ღონე მოიკრიბა, ხელი გაინთავისუფლა, მკლავით დაიფარა სახე და გაჩუმდა.

ტყეში კვლავ გაისმა ფრინველის ჭახჭახი. რატომ ფხიზლობდა იგი? შეწყვეტილი საუბარი აღარ გაგრძელებულა და ენოქმა ტყეს მიაშურა, სადაც ზულუმავეტი და სხვა ბიჭები ელოდნენ.

***

მეორე საკლასო ოთახიდან ანაჰიტას დროგამოშვებით ესმის ენოქის ხმა. ალბათ გაკვეთილს ჰყვება. მოსწავლეები ჩუმად უსმენენ, უსაზღვროდ უყვართ ახალგაზრდა მასწავლებელი.

მაგრამ, ნეტავ თუ იციან, ვინ არის იგი, ან რას აკეთებს, როცა სკოლის კედლებს სტოვებს? ნეტავ თუ უნახავთ ბნელ ღამეში, ცხენზე შემჯდარი, სოფლიდან სოფელს რომ უვლის ხოლმე, თუ გაუგიათ ხავარაძორის, ჯეირან-ჰოლის, ოდუნდაღის გამოქვაბულებში კრებაზე მოგროვილ ხალხს როგორ მოუწოდებს აჯანყებისაკენ?..

ოო, საშინელ ამბებს ჰყვებიან მასზე. როცა ამ ამბების მოსმენის შემდეგ, ანაჰიტა ქურდულად უმზერს მის შავ, დიდრონ თვალებს, შიშით კანკალებს.

— შორს მაგ წყეულისაგან!— გააფრთხილა სკოლის ზედამხედველმა მღვდელმა.

ერთხელ ქალმა სამასწავლებლოში შემთხვევით წერილი იპოვნა. „შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ თავადს“. ეწერა ბარათზე.

წერილი ასე იწყებოდა:

„ეგ ფათერაკის მაძიებელი, მოღალატე ბიჭი ენოქი, მოსწავლეებში მოურიდებლად ქადაგებს ბოლშევიკურ მოძღვრებას“ და კიდევ ცოტა ქვემოთ:

„მისი მშობლები სევქარეციდან არიან. მათ ბევრი ნათესავი ჰყავთ სევქარეცში, ქარვანსარაისა და ხავარაძორში. ამ ადგილებშიც ენოქი მუდამ თესავს შფოთს ხალხში“.

ანაჰიტამ იცნო დირექტორის ხელწერა, ქაღალდი ცეცხლში შეაგდო, დასწვა და შემდეგ მთელ ღამეს თვითონაც იწვოდა საკუთარი ფიქრების ალში:

„დიაღ, დამამცირებელ, საზიზღარ მახეს უგებენ. მან კი არ იცის. არ უნდა ვუთხრა? მაგრამ როდის? რა გზით?“

ბოლო რიგში მჯდარი, ლოყაწითელი გოგონა, რომელსაც ოქროსფერი თმა ამშვენებს, უკვე მერამდენედ იმეორებს ლექსის ერთსა და იმავე ჰწკარს:

თუმცა მცენარეა
პატარა და დაბალი...“

და ჩერდება ერთსა და იმავე ადგილას, ამხანაგები კარნახობენ. კლასში ჩურჩული ისმის, მაგრამ გოგონას მომწვანო თვალები მასწავლებელს მისჩერებია. კარნახს არ უსმენს და ვერც სტრიქონებს უკავშირებს ერთიმეორეს.

სმენადქცეული ანაჰიტას გონება ხალხის არეულ ხმაურს შეუპყრია, გარედან რომ მოისმის. ეს რა ხდება ხრამის გაღმა? ვინ არიან ეს შეიარაღებული ჩაფრები, ასე მოულოდნელად რომ გამოჩნდნენ გზაზე და, ცალ-ცალკე, დიდი სიფრთხილით ქურდულად მოიპარებიან?

ხმაამოუღებლივ მიდიან წისქვილისაკენ. ტირიფების ქვეშ შავი ლანდი იკუნტება. ეს ხომ სკოლის დირექტორია.

ანაჰიტას გააჟრჟოლა, ფანჯრიდან უკან დაიხია. დაფას მიეყრდნო.

კლასში ჩურჩულმა იმატა. თითქოს შეჩერებულ ამხანაგს კი არ კარნახობენ ბავშვები, არამედ თვით მასწავლებელს:

„ბუჩქნარებში
მუდამ მალვით...“

იდუმალი შეშფოთება მოისმის მათ ჩურჩულში. დიახ, რა თქმა უნდა... ისინი, ის შეიარაღებული ჩაფრები ჩავიდნენ, დაიმალნენ ბუჩქნარებში, ნუთუ ვერ დაინახა ენოქმა? ნუთუ ვერ შენიშნა ისინი... არ დავიყვირო? არ გავაფრთხილო? ერთი წუთიც და ყველაფერი გვიან იქნება...

ანაჰიტა დერეფანში გავარდა, იქიდან მეზობელ საკლასო ოთახს მიაშურა და დაიყვირა:

— ენოქ, გაიქეცი, მოვიდნენ!

ცარცი შეჩერდა დაფაზე. სიტყვა „თავისუფლება“ ნახევრად დაწერილი დარჩა დაფის შავ ფონზე.

ენოქი ხრამისაკენ იყურება. ჩუმად იღიმება. მადლობის გრძნობა უელვარებს გაბრწყინებულ, დიდრონ თვალებში. ელვისსისწრაფით უახლოვდება ღია ფანჯარას, მერე ჩქარი ნაბიჯით გარბის ოთახიდან და მახლობელ ბუჩქნარებში იკარგება.

***

ამ ამბის შემდეგ მასწავლებელი ენოქი დღისით დაბაში აღარავის უნახავს. სამშობლოს მთებს შეეფ-



ლებული, სოფლებს აჯანყებისათვის ამზადებდა.

ენოქი თავის შტაბთან ერთად მთებიდან მხოლოდ იმ დროს გამოვიდა, როდესაც ხეობას აჯანყებულთა ხმაური აყრუებდა. დაშნაკ-მაუზერისტების ბანდა უკვე გარბოდა. პარტიზანთა ერთ-ერთი რაზმის მეთაური ზულუმ-ავეტი იყო. იგი თითო-თითოდ უსწორდებოდა ბობოლებს.

ერთ საღამოს, როდესაც პატიმართა სიას ამოწმებდნენ, ენოქმა უცნობი გვარი შეამჩნია.

— აბა ეს,— თითი დაადო უცნობ გვარს და მიმართა ზულუმ-ავეტს.

ავეტმა კმაყოფილებით გაიღიმა.

— ჰო, ეგეც... როგორა ვთქვა, პროვიზორია.— და თვალებში ცბიერმა ნაპერწკალმა გაუელვა.

— ესე იგი...— ავეტს გაუძნელდა,— ესე იგი, მაგისი პაპა...

— პაპაზე არ გეკითხები, თვითონ ვინ არის? რა კაცია?

— გითხარი, პროვიზორია-მეთქი!

— რისთვის დააპატიმრეს?

— გულახდილად გითხრა?..— ავეტმა თავი მიუახლოვა ენოქის ყურს,— ანაჰიტას მეუღლეა...

— მაგისათვის დააპატიმრეს?

— მერე, ეგ ცოტაა?..— წყენით დაუმატა ავეტმა. ენოქი გაჩუმდა. მწუხარებამ გადაურბინა სახეზე. წარბები მოეღუშა, თვალები დაუპატარავდა, თითქოს ახლა იგრძნო წარსულის მთელი სიმძიმე.

გაეგო ანაჰიტას გათხოვება, დაღონებული იყო. ძალზე განიცადა, ტანჯვით, მაგრამ მაინც შეურიგდა მომხდარ ამბავს.

იცოდა, რომ ქალი არ იყო დამნაშავე. მამამისს არეული დროისა შეშინებოდა და დაეჩქარებინა ქალის დაბინავება. ანაჰიტას უარი არ ეთქვა და ახლა წყნარად ცხოვრობდა თავის ქმართან.

ვინ იცის, იქნებ უფრო ბედნიერადაც ცხოვრობს, ვიდრე იმ მოუსვენარ ახალგაზრდასთან იცხოვრებდა, ქარიშხალს რომ მისცა თავი!

ენოქმა ზულუმ-ავეტი ოთახში დატოვა, თვითონ კი ეზოში გავიდა.

განთიადი წითლად ელვარებდა. მოლურჯო მთის ქედებზე ცისკარს სისხლისფერი დროშა გამოეფინა. ენოქმა ღრმად ამოისუნთქა, მკლავები ისე ფართოდ გაშალა, თითქოს უნდოდა ერთბაშად ჩაეკრა გულში აყვავებული მაისის განთიადი.

ზურგს უკან ხველა მოესმა. ზულუმ-ავეტი მოსულიყო. ხმას არ იღებდა. ენოქმა გადაჭრით უთხრა:

— წადი, გაათავისუფლე!

ავეტი გაშტერდა. არ დაიჯერა. წინ წამოიწია. ისე მიაჩერდა, თითქოს თვალებით უნდოდა შეემოწმებინა.

— ვინ?...— ჰკითხა უნდობლად.

— პროვიზორი... მეორედ ასეთი სისულელე არ ჩაიდინო...

ავეტი თავჩაქინდრული წავიდა. ენოქი მდუმარედ მისჩერებოდა ამომავალ ძოწისფერ მზეს, რომელიც თანდათან ქარვისფრად აელვარებდა გარემოს. ფიქრებით ანაჰიტასთან იყო. თვალწინ ედგა მისი თვალები, ლურჯი და მიმზიდველი, როგორც ქარსელის ცისფერი ყვავილები.

,,დაე, ანაჰიტა ბედნიერი იყოს,— ფიქრობდა იგი,— მე კი... ვინ გაიგებს, რით დამთავრდება ეს მღელვარე გაზაფხული...''

სომხურიდან თარგმნა
**მარინე მამაცაშვილმა**



# სიცოცხლის მხოლოდ 18 წელი

სამეგრელოს შორეულ სოფელ ეკში, გლეხის ღარიბ კერას ახალდაბადებული გოგონას ტირილმა სიხარული მოუტანა.

ეს ის დრო იყო, როცა ეკიდან ძალზე შორს 1917 წლის რევოლუციის ქარიშხალი მძვინვარებდა და ადამიანებს რაღაც ახალსა და კეთილს პირდებოდა.

როდესაც გოგონამ ბაჯბაჯი დაიწყო, მას სამუდამოდ გამოეთხოვნენ მშობლები. წავიდნენ იქ, საიდანაც აღარასოდეს ბრუნდებიან. დაობლდა ბავშვი. ზღაპრულ ფერიასავით გაქრა დედის თბილი მკერდი, ნაზი ალერსი.

ობლის აღზრდა ბებია თებრონემ იკისრა, და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მისთვის უდედობა არ უგრძნობინებია. 1929 წელს ბებიაც გარდაიცვალა. — სამუდამოდ დაობლდა ნინო ხუბულავა.

დარჩა მარტო, სულ მარტო. უფროსი ძმა ვალია ჯერ კიდევ 1928 წელს წავიდა რუსეთში, სამხედრო საავიაციო სკოლაში.

სოფლის თავკაცებმა უპატრონოდ დარჩენილ ბავშვს მზრუნველი ხელი გაუწოდეს და დაწყებით სკოლაში მიაბარეს. 7 წლისამ პირველად აიღო წიგნი ხელში. მალე იგი პიონერი გახდა. აქედან იწყება პატარა, ტანმორჩილი, მუდამ მომცინარი სახის გოგონას ცხოვრება.

1930 წელს პირველად დაადგა ფეხი 13 წლის ქალიშვილმა თბილისის მიწას. ტრამვაების, ეტლებისა და ავტომობილების ხმაურმა შეაკრთო კიდეც, მაგრამ მალე შეეჩვია და უფროსი ძმისთვის მტკიცედ ჩაკიდებული ხელი გაინთავისუფლა, ამაყად გაყვა მას. ძმამ ნინო კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში მიაბარა. ქალიშვილი სწავლის დიდ ინტერესს იჩენს და აღმზრდელების ყურადღებას იმსახურებს.

ნინო კომკავშირის წევრი ხდება. მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, იგი 1932 წელს წარმატებით ამთავრებს საფაბრიკო-საქარხნო სკოლას და იქვე იწყებს მუშაობას, ჯერ კბილანების მჭრელ დაზგაზე, ხოლო შემდეგ — ოსტატად.

ნინოს ძმა რუსეთში სწავლობდა საავიაციო საქმეს და, ცხადია, დას ხშირად მოუთხრობდა გაფრენის ამბებს. გოგონა იმდენად დაინტერესა ფრენოსნობის საკითხებმა, რომ ძმის ნებართვით, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, იწყებს სწავლას თბილისის საპლანერო სკოლაში პლანერისტის კვალიფიკაციის მისაღებად. ამიერიდან ნინოს მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: მალე მიუჯდეს თვითმფრინავის საჭეს და პატარა, ჩაგრამ მტკიცე ხელებით ფოლადის არწივი ღრუბლებზე მაღლა აიყვანოს, გადაუქროლოს მთებს, მშობლიურ სოფელ ეკის ცაზე გაინავარდოს.

საპლანერო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ნინო ხუბულავას უსრულდება ოცნება, მას კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი გზავნის საფრენოსნო სკოლაში. ნინო ძმასთან ერთად მიემგზავრება სასწავლებელში. 4 თვის განმავლობაში ქართველი გოგონა მხოლოდ სწავლით, საფრენი აპარატების გაცნობით ცხოვრობს. ნინოს მეცადინეობით კმაყოფილი არიან სკოლის ხელმძღვანელებიც.

თითქოს ყველაფერი თავისი რიგით მიდის. მაგრამ... ისევ უმუხთლა ბედმა, გარდაეცვალა ძმა, რომელიც მისი ხელმძღვანელი, მეგობარი და ერთადერთი პატრონი იყო.

ისევ თბილისი. ამჯერად ნინო თბილისის თავდაცვა-ავიაქიმის ჰაერმფრინავთა სკოლაში აგრძელებს სწავლას.

გადის თვეები. სწავლა დასასრულს უახლოვდება. ზაფხულში საფრენოსნო სკოლა პრაქტიკული მეცადინეობისთვის ველად გავიდა.

და აი აქ, პირველად მიუჯდა 18 წლის ნინო ხუბულავა თვითმფრინავის საჭეს და რამდენიმე გაფრენა განახორციელა ინსტრუქტორთან ერთად.

1935 წელს მოეწყო დიდი საავიაციო დღესასწაული და იგი მიეძღვნა მუშა-მფრინავების გამოშვებას. ამ დღეს თავის ოსტატობას აჩვენებდა 28 კურსდამთავრებული. მათ შორის იყო ნინო ხუბულავაც.

1935 წლის 3 თებერვლის გაზეთი „კომუნისტი“, აჯამებდა რა მფრინავთა ახალი კადრების მომზადების დონეს, წერდა: „დიდი ოსტატობითა და სიზუსტით შეასრულა ნინო ხუბულავამ პილოტაჟის უმაღლესი ფორმები, მომხიბლავად დაეშვა აეროდრომზე სამწერტილოვანი დაფრენით და მიიღო უმაღლესი შეფასება—„ფრიადი“

ნინო ხშირი სტუმარი იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციისა. იგი ხალისით შეარბენდა ხოლმე რედაქციაში. სიხარულს ვერ მალავდა, როდესაც დაიბეჭდა მისი პირველი წერილი „მუშა ფრთოსანთა სამჭედლო“. ამ წერილში ნინო დიდი სიყვარულით წერდა საყვარელ საქმეზე, აეროდრომზე, საფრენოსნო სკოლაზე, ფიგურულ ფრენაზე.

რედაქციის მუშაკები ხალისით ეხმარებოდნენ „მუშა კორესპონდენტს“, ფრთხილად უსწორებდნენ წერილებს. ნინოც კმაყოფილებით იღებდა ყოველ შენიშვნას, იქვე მაგიდას მიუჯდებოდა, შეასწორებდა წერილს და ღიმილით უბრუნებდა რედაქციის მუშაკს.

რედაციასა და პირველ კომკავშირელ მფრინავ ქალს — ნინო ხუბულავას შორის იმდენად მტკიცე კავშირი დამყარდა, რომ რედაქციამ მკითხველებს შორის სახსრების შეგროვება დაიწყო თვითმფრინავ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ასაგებად. ეს თვითმფრინავი განკუთვნილი იყო ნინოსთვის. პირველი კომკავშირელი მფრინავი ქალი უნდა მიჯდომოდა კომკავშირის მიერ შეგროვებული სახსრებით აშენებული თვითმფრინავის საჭეს.

1935 წლის თებერვალმა ნინოს ცხოვრებაში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მაშინ მას პირველად ანდვეს თვითმფრინავის საჭე და დამოუკიდებელი სააგიტაციო გაფრენა დაავალეს. ეს მეტისმეტად დიდი ნდობა იყო. ხუმრობა ხომ არ არის, თვითმფრინავით მოიარო მთელი საქართველო. ესაუბრო ახალგაზრდებს, დააინტერესო ისინი გაყვნენ შენს მიერ არჩეულ გზას,— შეისწავლონ საავიაციო საქმე.

მართლაც, დათქმული განრიგით თბილისის ცაში აიჭრა სამი თვითმფრინავი. მეწინავეს ნინო ხუბულავა მართავდა, ხოლო გვერდითებს — გამოცდილი მფრინავები გ. გაგოშიძე და ნ. ჯიბლაძე.

სააგიტაციო გაფრენის მონაწილეებს აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყვეს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ნინო ყველგან მოუწოდებდა ახალგაზრდებს ჩაწერილიყვნენ ავიოკლუბებში და შეესწავლათ საავიაციო საქმე.

ყველგან, სადაც კი ნინოს თვითმფრინავი დაჯდებოდა, გაკვირვებული შესცქეროდნენ ქალიშვილს, რომელსაც მფრინავის კომბინეზონი ეცვა. ზოგიერთი განცვიფრებას ვერ მალავდა და ხელით ეხებოდა მას, „ცოცხალი არსებაა თუ არაო“. უკვირდათ, ასეთ პატარა, გამხდარ ქალიშვილს როგორ შეუძლია დაიმორჩილოს ფოლადის გოლიათიო.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ნინო რედაქციის თანამშრომლებს უყვებოდა, თუ როგორ აჩუქა მას ზუგდიდის კომკავშირულმა ორგანიზაციამ რევოლვერი, სენაკში კი დაპირდნენ, თვითმფრინავს გიყიდითო.

სამწუხაროდ ნინოს ბოლომდე არ გაუმართლა — ავადმყოფობამ აიძულა შეეწყვიტა სააგიტაციო გაფრენა და თბილისში დაბრუნებულიყო.

ავადმყოფობა ხანმოკლე გამოდგა. 1935 წლის 28 მაისს 18 წლის ასაკში გარდაიცვალა პირველი ქართველი კომკავშირელი მფრინავი ქალი ნინო ხუბულავა.

სულ ხუთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ნინომ მფრინავის კვალიფიკაცია მიიღო და აი, ბედის დაცინვა — ქალიშვილს არ დასცალდა განეხორციელებინა ჩანაფიქრი — შეეტანა თავისი წვლილი საბჭოთა საქართველოში საავიაციო საქმის შემდგომ განვითარებაში.

ნინოს უდროო სიკვდილმა გული დაწყვიტა არა მარტო მის ამხანაგებს, არამედ მთელი საქართველოს მშრომელებს. გაზეთები გულისტკივილით იუწყებოდნენ ნინო ხუბულავას გარდაცვალებას.

ასე დაიფერფლა ეკელი ქალიშვილის, ნინო ხუბულავას სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელიც საბჭოთა საქართველოში საფრენოსნო საქმის განვითარებისათვის უნდოდა შეეწირა.

ნინოს რომ ეცოცხლა, ახლა იგი ოქტომბრის ტოლი იქნებოდა, მას წელს დაბადების 50 წელი უნდა შესრულებოდა.

იგი მაგალითი იყო ახალგაზრდობისათვის და მას არასოდეს არ დაივიწყებს ქართველი ხალხი.

**მამია ჩორგოლაშვილი**

## საუბარი მკითხველთან

# ეჰ, როგორი ხართ თქვენ მის წარმოდგენაში

ეს ერთი ხანია თქვენ გადაჭარბებულ ყურადღებას უთმობთ ყვავილებს (თურმე, რამდენს ყვარებია ყვავილი!).

შეწუხებული სახითა და ზლაზვნით კი არ უთმობთ ადგილს ტროლეიბუსში ამოსულ ბავშვიან ქალს, არამედ ალერსიანი ღიმილით წამოხტებით და, მერე იმ პატარას მრგვლად დახვეულ „ლელოსაც“ მოუცაცუნებთ პაწაწინა მუჭზე სათამაშოდ.

მსუბუქ თავბრუსხვევასაც გრძნობთ.

ერთი სიტყვით, შეყვარებული ხართ.

კი, ნამდვილად!

ოღონდ, ერთი პატარა დეტალიც... არ იცით, ვისზე.

საერთოდ, შეყვარებული ხართ „იმაზე“, „იმ ერთადერთზე“, რომელიც ჯერ არ გინახავთ, შეყვარებული ხართ თქვენს წარმოდგენაში ცოცხლად დახატულ არსებაზე, იმდენად ცოცხლად წარმოდგენილზე, რომ მას ესაუბრებით კიდეც (გულში, რა თქმა უნდა) ეგზიუპერიზე, გუშინდელ გამოცდაზე, აი, ამ ყვავილებზე, რომელსაც ამდენი ხალხი ყიდულობს, და სიყვარულზე. სიყვარულზე ყველაზე მეტს საუბრობთ, ის კი არა, ხანდახან, ოცნებაში წასული (თუ ხელში ფანქარი აღმოგაჩნდათ) წერთ: „მომენატრე, ისე ძალიან მომენატრე... ამ წუთში ყველაზე მეტად მინდა მესმოდეს შენი ხმა, მე ხმას არ ამოვიღებდი და გიცქერდი თვალებში“... ეს ფრაგმენტებია მისდამი გაგზავნილი წერილიდან. მერე ამ ფრაგმენტებს ნაკუწ-ნაკუწად აქცევთ და ისევ ფიქრობთ იმაზე, ვისაც თაფლისფერი და ნუკრივით ლამაზი თვალები აქვს, ვისაც ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ თქვენსავით უყვარს, ვინც ნაზი და ერთგულია და ვინც... მაინც არ იცით, ვინ არის.

ერთი სიტყვით, თქვენს იდეალზე.

ცხადია, ასე შეყვარებულს, გაინტერესებთ, ვინღა უყვარს მას, როგორია მისი იდეალი.

და აი, ჟურნალმა „საქართველოს ქალმა“ 1966 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნებული ანკეტით მოგცათ საშუალება გაცნობოდით ერთმანეთის ფიქრსა და ოცნებას, ფარდა აგეხადათ და დაგენახათ არცთუ უინტერესო რამ: როგორი ხართ მის წარმოდგენაში.

ჩვენს წინ წერილებით გაჭედილი საქაღალდეა. საქაღალდეს ზონარები არ ეკვრება.

რაგვარ სტრიქონებს არ შეხვდებით აქ!

მაგალითად, ასეთს: „ჯერ ბავშვი ვარ და შეიძლება სქესი არ გამაჩნდეს, მაგრამ მაინც ვწერ.“ (?!) (ლ. ც. სოფელი ნოღოხაში).

ან ასეთს: „მე არ ვაპირებ პასუხი გავცე თქვენს კითხვებს (!), მაინტერესებს სხვები რა აზრისა არიან.“ (ჭ. გ. ზუგდიდი).

„მაინტერესებს, რატომ დაწერეთ ეს კითხვები და რა გაინტერესებთ ამ კითხვებით (?), ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, თქვენ გაგეცათ პასუხი და ჩვენ წაგვეკითხა. მე პასუხები უფრო მაინტერესებს, თანაც ვაჟების (ამ სტრიქონების ავტორი ვინაობას არ იწერება და მხოლოდ „ბოდიშს იხდის ფანქრით ნაწერზე“). „იდეალური არ არის არავინ და არაფერი“ (ჯ. გ. ჭიათურა). „ბედნიერებაა ორმხრივი სიყვარული“ (ამ აზრს რამდენიმე ავტორი ჰყავს!)

„სიყვარული მწერლების მოგონილია“ (რ. ქ. ხობის რ-ნი). „ჩემი ცხოვრების თანამგზავრი? ოო, ამაზე შეიძლება ითქვას ძალიან ბევრი. ჩემი მომავალი ცხოვრების თანამგზავრი უნდა იყოს ოდნავ გამხდარი (!) და ჰქონდეს ჭკვიანი თაფლისფერი თვალები, აუცილებლად თაფლისფერი თვალები... არ უნდა იყოს გადაჭარბებული მოდის ამყოლი და უყვარდეს გამსახურდიას ნაწერები, განსაკუთრებით კი — „დიდოსტატის მარჯვენა“. ვიპოვი კი ასეთს?“

(გოგონებო, ამ სტრიქონების ავტორი სტუდქალაქში ცხოვრობს და სოსო ჰქვია. მეტს ვერ გაგიმხელთ, მაგრამ თუ თქვენ „ჭკვიანი თაფლისფერი, აუცილებლად თაფლისფერი თვალები“ გაქვთ და გიყვართ „დიდოსტატის მარჯვენა“, თამამად გაიარეთ სტუდქალაქში, სოსო აუცილებლად გიპოვით. ესაა მხოლოდ, რომ ვერ გეტყვით, რა ფერი თვალები აქვს თვითონ მას. ვივარაუდოთ, რომ თაფლისფერი, ოღონდ, გაფრთხილდით და საუბარში არ წამოგცდეთ, რომ „მთვარის მოტაცება“ გირჩევნიათ „დიდოსტატს“, სხვა „წვრილმანები“ თავისთავად მოგვარდება).

„ჩემი იდეალი ჩემი უახლოესი მეგობარია, რომელსაც ბერდია ჰქვია, — გვწერს ერთი და გვიამბობს:

ბერდიას უბედურება დაატყდა თავს. ჯერ დედა მოუკვდა, მერე მამა. დარჩნენ პატარები — ორი ძმა და ერთი და. ბერდია უფროსი იყო და პატარებზე ზრუნვა მთლიანად მან ითავა. ურჩევდნენ, პატარები საბავშვო სახლში მიიყვანე, ისინიც კარგად დაიზრდებიან და შენც თავისუფლად იქნებიო. პატარები კი ბერდიას გარეშე არ იძინებდნენ. რიგრიგობით ითხოვდნენ: „დღეს მე კარგი ბიჭი ვიყავი, არაფერი გამიფუჭებია და შენთან დავწვებიო“.

ბერდიამ ვერ გაიმეტა პატარები. ღამე დედა ესიზმრებოდა: შვილო ბერდი, ხომ იცი შენი იმედი მაქვსო, — ეუბნებოდა.

საბუთები საღამოს სკოლაში გადაიტანა და მუშაობა დაიწყო... პატარები წამოიჩიტნენ. ადრე ისწავლეს შრომა.

ბერდიას ერთ წუთს ვერ ნახავდით თავისუფლად და მაინც... მას შეუყვარდა, მთელი გატაცებით. გოგონამ თანაგრძნობით უპასუხა, მაგ-

**დასასრული იხ. მე-20 გვ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრები მკითხველებთან

ამას წინათ, ქედაში, რაიონულ ბიბლიოთეკაში მოეწყო ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მუშაკების შეხვედრა მკითხველებთან.

შეხვედრა გახსნა კომკავშირის რაიკომის მდივანმა, ქალთა რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ ნ. გათენაძემ.

ჟურნალის მეტად საინტერესო, საქმიანი შეფასებით, თავისი სურვილებით, შენიშვნებით გამოვიდნენ მკითხველები: ე. გორგილაძე, რ. დიასამიძე, მ. ნაკაშიძე, ც. ნაკაშიძე, ნ. დიასამიძე, შ. სირბილაძე. საკუთარი ლექსი წაიკითხა შ. ანანიაძემ.

იმავე დღეებში რედაქციის მუშაკები მიწვეული იყვნენ აჭარის ქალთა აქტივის შეკრებაზე ბათუმის სახელმწიფო თეატრში.

ეს შეკრება იყო საინტერესო ჩვენება იმ ფართოდ გაშლილი საქმიანობისა, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ეწევიან ქალები თავისი წარმოების, მეურნეობის, ოჯახის, სოფლისა თუ ქალაქის კეთილმოწყობისათვის, ბავშვთა აღმზრდელობითი და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ქალები ერთმანეთს მოუთხრობდნენ თავიანთი კომიტეტების (იგივე ქალთა საბჭოების) მუშაობის ამბებს, უზიარებდნენ გამოცდილებას, აყენებდნენ საინტერესო წინადადებებს.

შეხვედრაზე აჭარის ქალთა კომიტეტის მუშაობის ვრცელი ანგარიშით გამოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ლამარა ბოლქვაძე.

შეკრებას მიესალმა საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი დ. დიასამიძე.

სიტყვებით გამოვიდნენ: ნ. გათენაძე, თ. ბოლქვაძე, ლ. რუხაძე, ნ. გუგუნავა, ლ. ნერალნიკოვა, გ. ტარიელიძე. ი. დიასამიძე, ფ. ხალვაში, გ. კაიკაციშვილი, ნ. დოგონაძე, მ. დუმბაძე, მ. ბარათაშვილი.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება აჭარის ქალთა კომიტეტის (საბჭოს) საქმიანობა.

სიტყვას ვაძლევთ კომიტეტის თავმჯდომარეს ლამარა ბოლქვაძეს:



# აჭარის ქალთა კომიტეტში

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დებულების შესაბამისად, 1960 წელს აჭარაში შეიქმნა ქალთა საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები. ქალთა კომიტეტები ჩამოყალიბდა აგრეთვე საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დღეს მათი რაოდენობა აჭარაში 400-ზე მეტია.

აღნიშნული კომიტეტების მიზანია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებაში ქალთა როლისა და აქტივობის ამაღლება. ქალთა კომიტეტები მთელ თავიანთ მუშაობას ატარებენ ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებთან, დეპუტატებთან, ქუჩებისა და მშობელთა კომიტეტებთან მჭიდრო კავშირში.

კომიტეტები თავიანთ მუშაობაში აბამენ ქალთა ფართო აქტივს საწარმოებიდან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მასწავლებლებს, ექიმებს, კულტურის მუშაკებს და სხვა.

ქალთა კომიტეტები დახმარებას უწევენ განათლების ორგანოებს ბავშვთა სწავლისა და აღზრდის საკითხებში, მონაწილეობენ დედათა და ბავშვთა დაცვის ღონისძიებების განხორციელებაში, ხელს უწყობენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, ზრუნავენ ქალთა ყოფაცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

აღსანიშნავია ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ქალთა კომიტეტის საქმიანობა. ქალთა კომიტეტის სხდომებზე განხილული საკითხების (მომსახურება მუშათა სასადილოში, ქარხნის ტერიტორიაზე გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, საამქროებში შრომის დაცვის პირობები და სხვა) უბრალო თვალისგადავლებაც კი ცხადყოფს, თუ რა სწორად ესმის კომიტეტის შემადგენლობას თავისი ამოცანები. ქალთა კომიტეტის ინიციატივით ქარხნის სასახლეში გაიხსნა ბავშვთა ოთახი, სადაც განუწყვეტლივ მორიგეობენ მასწავლებლები, აღმზრდელები, დიასახლისები.

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში 1.700 კაცი მუშაობს. მათ შორის 1.500 ქალია, აქედან 65 განყოფილების გამგე, 26 საამქროსა და ცვლის უფროსი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი და 520 კომუნისტური შრომის დამკვრელი. სამკერვალო ფაბრიკის ქალთა კომიტეტმა პარტიული ორგანიზაციისა და ადმინისტრაციის დახმარებით შეძლო ღამის ცვლაში მომუშავე ქალებისათვის ოთახის გამოყოფა, სადაც საზოგადოებრივ საწყისებზე მორიგეობს ქალთა აქტივი, აქ მოსული მუშა ქალები პასუხებს იღებენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საინტერესოდ მუშაობს ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარის ქალთა კომიტეტი. მას 4 წელია თავმჯდომარეობს ეთერ გობაძე. ქალთა კომიტეტმა კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა ჭრაკერვის წრე. მთიანი რაიონის ზოგიერთ სოფელში დღესაც ატარებენ ძველებურ ჩაცმულობას. ქალთა კომიტეტმა ორასამდე ქალს გადააკეთებინა ძველებური, მოუხერხებელი ტანსაცმელი. კომიტეტის თაოსნობით დაიწყო საოჯახო აბაზანების მოწყობა, ეზოების კეთილმოწყობა და სხვა.

ამას წინათ ქალთა საოლქო კომიტეტმა სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეამოწმა ბავშვთა ბაგა-ბაღების მდგომარეობა ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში. გამოირკვა, რომ არც ერთ კოლმეურნეობაში არ არსებობს მუდმივი ბაგა-ბაღი;.

შარშან 9 სეზონური ბაგა-ბაღი გაიხსნა ქობულეთისა და 18 — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში.

ამ რაიონების ქალები თუ მთლიანად არ არიან ჩაბმული შრომაში, ამის მთავარი მიზეზი სწორედ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის მოუწესრიგებლობაა. ბავშვთა სეზონური დაწესებულებები ძირითადად გახსნილი იყო ნაქირავებ, მოუხერხებელ ბინებში, სანეპიდსადგურთან შეუთანხმებლად, უზრუნველყოფილი არ იყვნენ სათანადო ინვენტარით, თეთრეულით, ჭურჭლით. შეფერხება იყო კვების პროდუქტებით მომარაგებაში. მახვილაურის საბჭოთა მეურნეობის ბავშვთა ბაგები ცუდ ბინებშია მოთავსებული.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში წლების მანძილზე სეზონური ბაგა-ბაღების გახსნაც კი არ მოხერხდა. ამის თაობაზე აჭარის ქალთა საოლქო კომიტეტმა პრაქტიკული წინადადებები შეიტანა პარტიის საოლქო კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში.

ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებას ნაკლები ყურადღება ექცევა ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციაში. ძირითადად ეს გამოწვეულია იმით, რომ მშენებლობებზე ჯერ კიდევ სუსტად არის დანერგილი მექანიზაცია, რის გამოც ქალებს ხშირად ხელით უხდებათ ხრეშისა და სხვა მასალის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა.

№ 5 სამშენებლო კანტორის საერთო საცხოვრებელში არ იყო შექმნილი ცხოვრების ნორმალური პირობები. ქალთა კომიტეტის ინიციატივით და ადმინისტრაციის დახმარებით, აქ გამოიყო ჰიგიენის ოთახი, ჩამოყალიბდა სხვადასხვა წრეები, ყურადღება მიექცა საერთო საცხოვრებელში სისუფთავის დაცვას და სხვა.

ქალთა კომიტეტების მუშაობის სპეციფიკა მრავალფეროვანია. ისინი მრავალ საინტერესო საკითხს აყენებენ. ბევრი მათი წინადადება ყურადსაღები და განზოგადოების ღირსია. მარტო ის ფაქტი, რომ ქალთა კომიტეტების სახელზე მრავალი განცხადება შემოდის, მეტყველებს მათს გარკვეულ ავტორიტეტზე. მოწინავე ქალთა კომიტეტები (მაგალითად, ქედის რაიონის სოფელ ვაიოს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის და სხვა) ცდილობენ ახლებურად და ორიგინალურად მიუდგნენ ამათუიმ საკითხს და უმეტეს შემთხვევაში წარმატებებსაც აღწევენ.

ქალთა საოლქო კომიტეტთან რამდენიმე წელია არსებობს ,,საინტერესო შეხვედრათა კლუბი'', რომელიც მეტად შინაარსიან მუშაობას ეწევა. მართალია, ამ კლუბს არა აქვს წინასწარ შედგენილი გეგმა, მაგრამ მას მხედველობიდან არ რჩება არც ერთი საინტერესო მოვლენა. ამას წინათ კლუბში მოეწყო შეხვედრა ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან, სახელგანთქმულ მძლეოსან ქალებთან, აჭარაში ქალთა შორის მუშაობის ვეტერანებთან, სამამულო ომის მონაწილე ქალებთან და სხვა.



**საინტერესო შეხვედრათა კლუბში. სიტყვას ამბობს ძველი ბოლშევიკი ალვასი თალაკვაძე.**

მუშაობის ეს ფორმა დიდ ინტერესს იწვევს ქალებში. საჭირო იქნება შემდგომში მსგავსი ღონისძიებების უფრო ფართოდ დანერგვა და ზრუნვა იმისათვის, რომ ქალთა შეკრებები სხვა ოფიციალურ კრებებს არ დაემსგავსოს და ის იყოს რაღაც ორიგინალური, განსაკუთრებული, ქალური და აუცილებლად შინაარსიანი.

ქალთა საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებად არჩეული არიან უნარიანი, ავტორიტეტიანი ამხანაგები: ქობულეთში— პარტიის რაიკომის მდივანი ლუსია რუხაძე, ხულოში — რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ეთერ აბულაძე, შუახევში — საშუალო სკოლის დირექტორი ეთერ ტარიელაძე, ქედაში — კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ნათელა გათენაძე, ბათუმის რაიონში — მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ლიზა გავაშელი, ქ. ბათუმში — სავაჭრო ტექნიკუმის დირექტორი ნაზი გოგიტიძე. თავიანთ მუშაობაში ისინი დიდ ენერგიასა და ცოდნას აქსოვენ, რასაც ქალები დიდად უმადლიან.

ქალთა საოლქო კომიტეტი პერიოდულად იწვევს სხდომებს, შესაბამის ზემდგომ ორგანოებში შეაქვს კონკრეტული წინადადებები. ადგილებზე აგზავნის ქალთა ბრიგადებს, მათი საშუალებით პრაქტიკულ დახმარებას უწევს ადგილობრივ კომიტეტებს.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი, ყველგან როდი ესმით სწორად ქალთა კომიტეტის მიზანი და ამოცანები. ზოგან კომიტეტები ფორმალურად არსებობენ. მათ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა.

ჩვენი აზრით, დიდ დახმარებას გავუწევდით ქალთა კომიტეტებს, თუ ჟურნალი ,,საქართველოს ქალი'' სპეციალურად დაუთმობდა ტრიბუნას მათი მუშაობის გამოცდილების განზოგადებას. მართალია, აჭარის ქალთა კომიტეტს გააჩნია სპეციალური დებულება მუშაობისათვის, მაგრამ როგორც ვიცით, საქართველოს სხვა ქალთა კომიტეტებს (საბჭოებს) ასეთი რამ არა აქვთ. სასურველია შემუშავდეს ერთიანი დებულება საქართველოს ყველა ქალთა კომიტეტისათვის (საბჭოებისათვის), რაც მეტ სიცხადეს შეიტანს მუშაობაში, გაირკვევა მუშაობის საერთო საკითხები, მიზნები და ამოცანები.

როგორც ცნობილია, საწარმო-დაწესებულებათა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შექმნილია ქალთა საბჭოები, რომელთაც იგივე მიზნები და ამოცანები აკისრიათ, რაც ქალთა კომიტეტებს. ამიტომ, დუბლირების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოებაში იყოს მხოლოდ ერთი კომიტეტი ან საბჭო.

ქალთა საბჭოებმა (კომიტეტებმა) თავისი არსებობა გაამართლეს. ეს ცხოვრებამ დაადასტურა. ამიტომ საჭიროა მეტი მზრუნველობა, ყურადღება და დახმარება გაუწიონ მათ საზოგადოებრივმა, სამეურნეო თუ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

**ლამარა ბოლქვაძე,**
აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი,
აჭარის ქალთა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ აქ სხვა დაბრკოლება შეხვდათ. ჭაბუკი ჯარში გაიწვიეს. გოგოს კი ნათესავები შეუჩნდნენ, გათხოვდი და გათხოვდიო.

კიდეც რომ ჩამოვიდეს ეს არაფრისმქონე და გაჭირვებაში გაზრდილი ბიჭი, მაგის ფეხზე დადგომას ვინ მოესწრებაო.

გოგომ არ დაიჯერა.

არავის არ შეეძლო ისე ნაზად ცქერა, როგორც „იმ გაჭირვებაში გაზრდილ და არაფრისმქონე ბიჭს". როგორც იქნა, დაბრუნდა ბერდია და სიყვარულმა გაიმარჯვა. ორივემ დაიწყო შრომა. გემოვნებით მოაწყვეს პაწაწინა სუფთა ოთახი.

აი, ჩემი აზრით, ვინ არის იდეალური ახალგაზდა", — ასე გვწერს ს. ჭ. თან დასძენს: „მე თვითონ კი ცხოვრებაში რაღაც არ მაკმაყოფილებს. მგონია, ბევრის გაკეთება შემიძლია და ცოტას ვაკეთებ. ჩემი ტოლები საოცრებას ახდენენ ჩვენს ქვეყანაში: იპყრობენ ციმბირს, დაიპყრეს კოსმოსი, ააგეს ატომური ყინულმჭრელები, იმორჩილებენ ენგურს, მე კი ამ საერთო საქმისთვის ძალზე ცოტას ვაკეთებ. თუმცა ჩვენს უბანში ჩვენი სანტექნიკური დანადგარები უნაკლოდ მუშაობენ, არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე აგრეგატი მწყობრიდან გამოსულიყოს ჩვენი დაუდევრობით. ხშირად მადლობასაც გვეუბნებიან, მაგრამ ეს მაინც არ არის ჩემთვის საკმარისი..."

ეს ჭაბუკი თავისებურად ბედნიერია, რადგან მისთვის უმაღლესი სიამოვნება არ არის ობივატელური, გორკის თქმისა არ იყოს: „ძალიან ცოტა მუშაობა, ძალიან ცოტა ფიქრი და ძალიან ბევრი ჭამა-სმა, არამედ მასში ჭარბობს უმაღლესი მოთხოვნილება, იყოს მაქსიმალურად სასარგებლო თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის, არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით.

ადამიანის სიცოცხლის აზრიც ხომ ღირსეული არსებობაა! მაგრამ ჩვენ აქ გადავუხვიეთ სათქმელს, რადგან შეგპირდით გაგვემხილა, როგორ გამოიყურებით თქვენ თქვენი მომავალი ცხოვრების თანამგზავრის თვალში. პატივი ვცეთ ქალებს და მათი შეხედულებით დავიწყოთ.

„როგორ მესახება ჩემი მომავალი ცხოვრების თანამგზავრი? უნდა იყოს აუცილებლად გულწრფელი, ერთგული, უყვარდეს ოჯახი და გრძნობდეს პასუხისმგებლობას მის წინაშე. იყოს კულტურული, შეეძლოს მსჯელობა ხელოვნებაზე..." (ვ. თ. თბილისი).

„ჩემი რჩეული უნდა იყოს განათლებული, უყვარდეს მუსიკა და სპორტი, იყოს ერთგული..." (ქ. კ. გორი).

„...იყოს ოჯახის მოყვარული, დამოუკიდებელი, სულიერად სპეტაკი. უყვარდეს ლიტერატურა (აქ შეზღუდული არა ხართ, გინდა „დიდოსტატის მარჯვენა" გიყვარდეთ და გინდა „პატარა უფლისწული". ოღონდ გიყვარდეთ..." (ლ. გ. ქუთაისი).

„მე არ მეყვარება, თუ არ იქნა გულწრფელი და ერთგული. არ მეყვარება თუ მე, ბაზრიდან მოსული, შევუდექი სადილის კეთებას, ის კი ამ დროს წამოწვა და უდარდელად დაიძინა." (ნ. ც. ბათუმი).

და ასე, და ამგვარად. აქ აღარ მოგვყავს წვრილმანები. ის, რომ ზოგისთვის აუცილებელია გიყვარდეთ ფეხბურთი, ზოგი სასტიკი წინააღმდეგია ამისი და, სამაგიეროდ, მოითხოვს უკრავდეთ ერთ საკრავზე მაინც. ძირითადად, დაახლოებით 80 პროცენტის წარმოდგენაში, თქვენ ხართ უპირველეს ყოვლისა ერთგული (გულწრფელი), ოჯახის მოყვარული, გაქვთ ქცევისა და მეტყველების კულტურა, ეხმარებით ცოლს, გიყვართ ხელოვნება (უფრო მცირე პროცენტი მოითხოვს, გიყვარდეთ სპორტი). ამის შემდეგ მოდის მოთხოვნა: იყოთ ლამაზად ჩაცმული (მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ექსტრავაგანტური), გქონდეთ ვაჟკაცური გარეგნობა ან იერი მაინც!

კაცმა რომ თქვას, ჩვენი გოგონები თავმდაბლობენ: ეს თვისებები არც ისე ძნელი გამოსამუშავებელია და, რაც მთავარია, თქვენთვისაა უკეთესი.

ახლა კი გოგონების ყურადღებას მოვითხოვთ და იმ კორესპონდენტის თხოვნას ვაკმაყოფილებთ, რომელიც მოითხოვს: პასუხების წაკითხვა მირჩევნია და თანაც ვაჟების პასუხისო.

ერთში აქვე შევთანხმდეთ: ყველა ვაჟი, უგამონაკლისოდ, უპირველეს ყოვლისა, თქვენგან მოითხოვს ერთგულებას და იმას, რომ იყოთ კარგი ცოლი და დედა.

ხოლო რას ნიშნავს იყო კარგი ცოლი?

გთავაზობთ ციტატებს:

„უფრთხილდებოდეს ოჯახის სიწმინდეს" (ც. გ. თბილისი, ფიზიკის ინსტიტუტი).

„გაარჩიოს ნამდვილი სიყვარული და გატაცება. არ მოტყუვდეს და არ გახდეს ფუქსავატური სიტყვის მსხვერპლი" (ლ. გ. საგარეჯო).

„სასურველია, იყოს მართალი, ბუნებრივი და ჩემი მშობლების პატივისმცემელი" (თ. ტ. თბილისი).

„უნდა იყოს სათნო, განათლებული, თავისი საქმის მცოდნე, მოკლებული ყოველგვარ პრანჭიობას, იყოს გულისხმიერი" (ე. დ. თერჯოლა).

თქვენგან მოითხოვენ იყოთ ერთგული, განათლებული, სათნო, „არაპრანჭია", შეგეძლოთ ნორმალური მსჯელობა წაკითხულზე და ნახულზე, იცვამდეთ მოდურად (არავითარ შემთხვევაში არ იყოთ „ზედმეტად მოდას აყოლილი"), იყოთ დამოუკიდებელი და ყველგან, „სადაც საჭიროა და არ არის საჭირო, ნუ ჩარევთ მშობლებსა და ახლობლებს".

თურმე ისიც არის სასურველი, რომ იყოთ სასიამოვნო შესახედავი. არ გამოამჟღავნოთ მაინცდამაინც ახლო ნაცნობობა კოსმეტიკასთან (რადგან თქვენ ჯერ ეს არ გჭირდებათ) და ა. შ. დანარჩენი თქვენც იცით.

ისე ჩავთვალოთ, რომ ძირითადად თქვენი გაცნობა მოხდა. ამისათვის ჟურნალს მადლობა ვუთხრათ. დანარჩენი კი, რაც რედაქციაზე არ არის დამოკიდებული, ეცადეთ, თვითონ გააკეთოთ.

**ნარგიზა მგელაძე**

# ქალთა განყოფილებების მუშაობის ისტორიიდან

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქალთა სრული ემანსიპაციისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ და უშუალოდ წარმართავდნენ ქალთა განყოფილებები, რომლებიც პარტიულ ორგანოებთან იქმნებოდა. ისინი თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ „პროლეტარიატი ვერ მიაღწევს სრულ თავისუფლებას, თუ არ მოიპოვა სრული თავისუფლება ქალებისათვის" (ტ. 30, გვ. 447).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ქალთა განყოფილება 1921 წლის მარტში შეიქმნა. მალე ქალთა განყოფილებები შეიქმნა პარტიის საოლქო, სამაზრო და საქალაქო კომიტეტებთან. საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობას ამ პერიოდში ხელმძღვანელობდა რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურო. კავბიუროს ქალთა განყოფილება, თავის მხრივ ხელმძღვანელობდა საქართველოს პარტიული კომიტეტების ქალთა განყოფილებებს.

ქალთა შორის მუშაობა პარტიის შეუნელებელი ყურადღების ცენტრში იდგა. ეს საკითხი ხშირად განიხილებოდა კავბიუროს სხდომებსა, პლენუმებსა და თათბირებზე. ქალთა შორის მუშაობის სწორად წარმართვით კავბიურო პრაქტიკულად ახორციელებდა კომუნისტური პარტიის პოლიტიკას ქალთა საკითხში. ხოლო ეს პოლიტიკა მოითხოვს სოციალისტურ საზოგადოებაში ქალთა თანასწორუფლებიანობის, სამეურნეო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა დარგში მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას.

დიდი ამოცანები იდგა ქალთა განყოფი-

ლებების წინაშე საქართველოში. მთის და მუსულმან ქალებს შორის მუშაობის სწორად წარმართვაზე დიდად იყო დამოკიდებული მოსახლეობის ამ მეორე ნახევრის მთლიანი და დროული ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, ქალთა ემანსიპაციის პრქტიკული განხორციელება.

ქალთა შორის მუშაობის გაჩაღების საქმეში დიდ როლს ასრულებდა კომუნისტ ქალთა კონფერენციები, უპარტიო ქალთა ყრილობები, კონფერენციები, თათბირები, დელეგატ ქალთა კრებები და სხვ. 1921 წლის 21 მაისს ჩატარდა საქართველოს მშრომელ ქალთა ყრილობა. ყრილობამ მოისმინა მოხსენებები: ფილიპე მახარაძისა — მიმდინარე მომენტი და მშრომელ ქალთა ამოცანები; თედორე კალანდაძისა — რას მისცემს საბჭოთა ხელისუფლება მუშა და გლეხ ქალს; მარიამ ორახელაშვილისა — დედებისა და მცირეწლოვანების დაცვა; ლიდა გასვიანისა — ქალთა საერთაშორისო მოძრაობა და III ინტერნაციონალი, და სხვ.

ყრილობამ აირჩია დელეგატები აღმოსავლეთის ქალთა მოსკოვის მომავალ ყრილობაზე. ყრილობა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ქალთა გათვითცნობიერებისა და სოციალისტურ მშენებლობაში მათი ჩაბმის საქმეში.

1921 წლის 1 დეკემბერს თბილისში კავბიუროს ინიციატივით გაიხსნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ქალთა განყოფილებების გამგეთა და კორესპონდენტთა თათბირი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ თურქეთის, ირანის, დაღესტნის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ქალთა წარმომადგენლები. საქართველოდან თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ნატალია ლომთათიძემ, მარიამ ორახელაშვილმა, ვარო (ბარბარე) ჯაფარიძემ (ცნობილი პროფესიონალ რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის მეუღლე) და ნინო მგელაძემ. ასეთი თათბირები ხელს უწყობდა ქალთა საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას და მათ ფართო საზოგადოებრივ სარბიელზე გამოყვანას.

სერიოზულ როლს ასრულებდა უპარტიო ქალთა საერთო კრებებიც. საქართველოს მაზრებში ხშირად ტარდებოდა ასეთი ღონისძიება და კარგ შედეგსაც იძლეოდა. ზესტაფონში 1921 წლის 9 ივლისიდან 1922 წლის 25 თებერვლამდე შედგა უპარტიო ქალთა 15 საერთო კრება, რომელმაც ქალთა უამრავი საჭირბოროტო საკითხები განიხილა.

გულდასმით ხდებოდა ქალთა განყოფილებების სამუშაო გეგმების შედგენა და განხილვა-დამტკიცება. კავბიუროს მიერ დამტკიცებული გეგმები ერთობ მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ქალთა შორის მუშაობის ყველა სფეროს. განსაკუთრებული ყურადღება კი მაინც ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების, მათი საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმის ღონისძიებებს ექცეოდა. და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან „ქალის სრული განთავისუფლებისა და მამაკაცთან მისი ნამდვილი გათანაბრებისათვის, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი,—საჭიროა არსებობდეს საზოგადოებრივი მეურნეობა და ის, რომ ქალი მონაწილეობდეს საერთო ნაყოფიერ შრომაში. მაშინ ქალი ისეთივე მდგომარეობას დაიკავებს, როგორც მამაკაცი“ (ტ. 30, გვ. 31). გეგმა ითვალისწინებდა კლუბებთან ქალთა განყოფილებების გახსნას, მუსულმან ქალთათვის საწარმოო შრომის პროფესიების დასაუფლებლად სკოლა-სახელოსნოების მოწყობას, არტელების. განსაკუთრებით აბრეშუმის ძაფსართავი არტელების გახსნას ქალებისათვის, ჭრა-კერვის სკოლების ჩამოყალიბებას. ქალების გაერთიანებას პროფკავშირებში და ა. შ.

ერთობ საინტერესო ღონისძიებებს ატარებდნენ ქალთა განყოფილებები კულტსაგანმანათლებლო მუშაობის დარგში. საერთო მოწონებას იმსახურებდა პოპულარული საუბრების ციკლი. გამოცდილი და მომზადებული ლექტორები გასაგები და მიმზიდველი ენით ესაუბრებოდნენ ქალებს ისეთ თემებზე, როგორიცაა: ქალთა უფლებრივი მდგომარეობა, მიწის პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, დედათა და ბავშვთა დაცვა, ქალის ჰიგიენა და სხვა.

ქალთა განყოფილებებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს მუსულმან ქალთა ახალი საოჯახო-საქორწინო უფლების შესახებ დეკრეტის შემუშავებაში, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში და ადგილობრივ ენებზე ქალებისათვის ჟურნალებისა და ბროშურების მომზადება-გამოცემაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების ხელმძღვანელობით ტარდებოდა აგრეთვე სხვადასხვა პერიოდული კამპანიები, მიტინგები, სხდომები. საქართველოს ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს „წითელი არმიის კვირეულში“, ყველგან ტარდებოდა მიტინგები, კრებები, სიტყვებით გამოდიოდნენ მოწინავე ქალები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილება სისტემატურად აგზავნიდა რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეებსა და მაზრებში თავის ინსტრუქტორებს. ისინი ადგილებზე მრავალფეროვან მუშაობას ეწეოდნენ. ეხმარებოდნენ ადგილობრივ ქალთა განყოფილებებს მუშაობაში, ატარებდნენ თათბირებს, სადაც ინსტრუქტორები განმარტავდნენ, თუ როგორ უნდა აიგოს და იმუშაოს ქალთა განყოფილებებმა, რა მეთოდითა და საშუალებით უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად პარტიის პოლიტიკა ქალთა შორის მუშაობის დარგში და სხვ. საქართველოს კპ ცკ-ის ქალთა განყოფილების ინსტრუქტორებიდან დიდი მუშაობა ჩაატარეს ნატალია მგალობლიშვილმა, პატკულია ჩხატარაშვილმა, სოფიო თალაკვაძემ, ანაიდა ესაიანმა და სხვებმა. ისინი მუდამ საქართველოს მშრომელ ქალთა სასურველი სტუმრები, მრჩევლები და მეგობრები იყვნენ. მათი თავდადებული შრომით დიდ წარმატებებს აღწევდნენ მუშაობაში პარტიის საოლქო, სამაზრო და საქალაქო კომიტეტების ქალთა განყოფილებები.

კავბიურო შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდა პროსტიტუციის წინააღმდეგ, მიაჩნდა რა ამ გზაზე წინ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯად ქალთა უმუშევრობის მოსპობა. იგი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევდა უმუშევარ ქალთა სამუშაოზე მოწყობის, დიასახლისი ქალებისათვის სპეციალობათა დაუფლების, ქალთათვის არტელებისა და საწარმოების გახსნის საკითხებს.

უპარტიო ქალთა ყრილობებს, კონფერენციებს, თათბირებს და მიტინგებს, რომელთაც ასე ხშირად და დიდი წარმატებით ატარებდა კავკასიის ბიურო, მისი ქალთა განყოფილება, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ქალთა ფართო მასებს აბამდნენ იმ პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემების გარკვევა-გარჩევაში, რომლებიც ასე მწვავედ იდგა ჩვენს წინაშე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

ქალთა განყოფილებებს საქართველოში სერიოზული მიღწევები ჰქონდა. საერთო სიყვარულსა და ყველას მადლიერებას იმსახურებდნენ ამ განყოფილებათა ისეთი ხელმძღვანელი მუშაკები, როგორც იყვნენ: ლიდა გასვიანი, კატო მიქაძე, მარო ბერძენიშვილი, თამარ მეტრეველი, ეპრაქსი მუავია, ლიზა ჯორჯაძე, ნატალია ლომთათიძე, ნინო მგელაძე, ოლღა სტურუა და მრავალი სხვები, რომელთაგან ბევრი ახლაც ნაყოფიერ შრომას ეწევა მეცნიერებისა და კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

ძნელი იყო ქალთა განყოფილებების მუშაობის პირობები საქართველოში. ისინი განიცდიდნენ კადრების შიმშილს. განსაკუთრებით ძნელი იყო მუშაობა აფხაზეთში, სადაც მცირე ტერიტორიაზე მრავალი ერის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. „აფხაზურის, მეგრულის, თურქულის და სხვა ენების მცოდნე მუშაკების უყოლობის გამო,— ვკითხულობთ აფხაზეთის ქალთა განყოფილების მუშაობის ანგარიშში, — ადგილობრივ მოსახლეობაში მუშაობის წარმოება ძალიან ძნელია“.

მაგრამ ეს სიძნელეები და დაბრკოლებები ვერაფერს აკლებდა ახალი ცხოვრების სიყვარულით ანთებულ გულებს. ქალთა განყოფილებების მიერ ჩატარებული უდიდესი მუშაობის შედეგად ქალთა აბსოლუტური უმრავლესობა ახალი ცხოვრების მშენებლობის ფერხულში ჩაება, წარმატებით შეუდგა სოციალიზმის შენებას.

დოცენტი აკაკი ირემაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომელი ვართ უფრო დამნაშავე?

28 წლის მოწიფული ვაჟკაცი ვიყავი, ცოლი რომ შევირთე, 1957 წლის 13 იანვარს. ცამეტი რიცხვი ფათერაკიანიაო, რომ იტყვიან, მართალი ყოფილა. თუ არა და თქვენ თვითონ განსაჯეთ ჩემი ამბის მიხედვით. ქორწინებამდე რა ვიყავი, თუ მოთმინება გეყოფათ, იმასაც მოგახსენებთ. რვა წლის რომ გავხდი, მამა დავკარგე. დედაჩემი, უმცროსი ძმა და მე ცარიელ-ტარიელი დავრჩით. შორიდან ბიძა გვეხმარებოდა, სასმელ-საჭმელს, ტან-ფეხს არ გვაკლებდა, მაგრამ მასაც თავისი დარდი აწუხებდა და ჩვენი აღზრდისათვის არ ეცალა. ორივე ძმამ განვიცადეთ ქუჩის გავლენა. ვიცნობდი ბევრ მანკიერ მოზარდს, მაგრამ ჩემი ერთადერთი უხამსობა ის იყო, რომ ან ვინმეს მივტყეპდი, ან ვინმე მიმბეგვდა. სხვა ზადი მე არა მქონია, სხვა მხრივ ჩემი მორალური სიმტკიცე არ შერყეულა. ციხეშიც ვიჯექი, ღვთის წინაშე, სრულიად უსაფუძვლოდ; ახლა რა დროსია, მაგის მოგონება, მაგრამ, თუ ნებას მომცემთ, ვიტყვი — რატომ? თეატრში ვიყავით ქანდარაზე მე და ჩემი ამხანაგი შ. ნ-ძე, სცენაზე ჯანო ბაგრატიონი ცეკვავდა და ჯანოს ილეთებით აღტაცებულმა ჩემმა ამხანაგმა ხმამაღლა დაიძახა: ჯაან, ჯანო-ჯანო! ამოვიდა მილიციელი და მე წამადგა თავს, რას ხულიგნობო, ადე, წამყევი მილიციაშიო. დამენანა თეატრის მიტოვება, მით უფრო, რომ მე არაფერ შუაში ვიყავი და არ წავყევი, არ დავემორჩილე. მომრავლდნენ მილიციელები, გამტეხეს და მიმიყვანეს მილიციაში, ეს იყო 1950 წელს. ჩემი პატიმრობის დროს შ. ნ-ძე ძალიან წუხდა (ჩემი შინაურების გასაკვირად, მათ არ იცოდნენ რაში იყო საქმე)! მე მილიციამ ხელი იმიტომ მომკიდა, რომ მიცნობდა „როგორც ხულიგანს“. იქნებ მართლაც ვიყავი ხულიგანი, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში დანა არ მიტარებია, მუშტით თუ დავზელდი ვინმეს, ანდა ვინმე დამაუთოებდა. ერთხელ დანა აღმართა ვიღაცამ, ის იყო უნდა ჩაერტყა ჩემთვის, რომ ჩემი უმცროსი ძმა გაჩნდა საიდანღაც. დანაში ხელი სტაცა და მახვილი ამაცილა. მთაწმინდაზეც დამჭრა ერთმა, დანას რომ ვართმევდი ხელიდან.

ჩემმა საცოლემ ჩემი ამბავი ყველაფერი იცოდა. თვითონ კარგი დედ-მამის შვილია, მაგრამ არც მე მყოლია ცუდი დედ-მამა, ჩემი მშვენიერი დედა 1956 წელს გარდაიცვალა 47 წლის ასაკში და ბევრი სანანებელი დამიტოვა, მაგრამ ახლა რა დროსია, რას ვიზამ! დედის სიკვდილის შემდეგ წლისთავზე ცოლი შევირთე — მასწავლებელი ქალი, სკოლაში დისციპლინის შემქმნელი, ავტორიტეტის მქონე, მე კი ფიზკულტურის მასწავლებელი ვიყავი. ახლადდაწყვილებულებს მოგვეშველა ნათესაობა, ძმა-ბიჭები, მეც მუშაობის ლაზათი გამომაჩნდა და 2-3 წელიწადში ბინაც ავიშენეთ, დავსახლდით. ქალ-ვაჟი შეგვეძინა. ახლა გოგონა მეოთხე კლასში გადავიდა, ბიჭი მომავალ იანვარს 8 წელს შეასრულებს.

ადრე მივხვდი, რომ ჩვენ — მე და ჩემი ცოლი — სეტყვა და ქვა შევეყარეთ ერთმანეთს. ზოგჯერ შინ მთვრალი მოვდიოდი, ცოლს „სალდათურად“ დედას ვაგინებდი, სამაგიეროდ ჩემი ცოლი... დედას და ზედნადებად მამასაც მაგინებდა. ცოლთან ერთად არსად არ დავდიოდი, არ მეხერხებოდა ასეთი სინაზე. ჩემი ცოლიც შინ იშვიათად იყო: ეს პედსაბჭოს სხდომაო, მშობელთა კრებაო, ჩამორჩენილებთან მეცადინეობაო და სხვ. დასვენების დღესაც არ იცდიდა შინ, აიკრიფებოდა ბავშვებიანად და წავიდოდა; ალბათ მე თუ გამირბოდა, უფრო ხეტიალი თუ იზიდავდა. რომ შევეკითხებოდი, სად მიხვალ-მეთქი, რა შენი საქმეაო, — მომახლიდა. ერთხელ ასეც მითხრა: მე შენ სხვის ჯინაზე გაგყევი ცოლადო, სხვა მიყვარდაო, რომ მივუალერსე, მაშინ მითხრა... უხერხულია ახლა ქაღალდზე იმის დაწერა, რაც მითხრა, და მაშინ იყო, რომ კარგი ფანარი ჩავუჯინე თვალბუდისქვეშ. ეს იყო ერთხელ და ისიც კმარა სირცხვილად. საჩოთირო სიტყვებს არც მე ვერიდები, მაგრამ ქალი სულ სხვაა. მე შეიძლება ღამით გვიანობამდე შევრჩე ბაღში სეირნობას, ვთქვათ ღამის სამ საათამდე, მაგრამ ქალს ეს არ ეპატიება.

წელიწადზე მეტია ცოლმა მიმატოვა და ბავშვებიანად დაბინავდა ამავე ქალაქში. სასამართლომ გაგვთიშა, ალიმენტს წინ რა ედგა, მაგრამ ბავშვები არ მანახა. რაღაც მოსაკითხი გავუგზავნე ბავშვებს ნაცნობის ხელით; ჩემმა ნაცოლევმა მიმტანი და მიტანილი ორივე გარეთ გამოაგდო. ბიჭის დღეობა იყო. ბავშვს ახლა საპატიო კაცის ხელით გავუგზავნე მისალოცი. გულმა არ მომითმინა, ავდექი და ფეხაკრეფით მივადექ კარს, მესმოდა ბავშვების აღგზნებული, მხიარული ხმაური. დავაკაკუნე. გამოვიდა ჩემი ცოლი. იკივლა და თან ისეთი მუშტი ჩამცხო გულბოყვში, რომ კისრისტეხით დავგორდი კიბეზე. წელიწადნახევარი ბავშვები არ მენახა. მიველ საბავშვო ბაღში, გამომიყვანეს ბიჭი, მაგრამ ბავშვმა ზედაც არ შემომხედა, თავი ჩაღუნა. მეორე დღეს ჩემი ნაცოლევი მოვიდა ბაღში და ერთი ამბავი დაათენა, როგორ თუ ბავშვი აჩვენეთო, თქვენ არ გაუყვანოთ სანახავად და თუ თავისით ეჩვენება ბავშვი, მერე მე ვიციო. ისეა გოგონაც. ორივენი გამირბიან, არ მეკარებიან. ბიჭმა თქვა, რომ გავიზრდები დიდი, მერე ვნახავ მამასო. გოგონამ — არ მიყვარს და არ მინდა მამის ნახვაო. გასაკვირია, ბავშვები სულში მიძვრებოდნენ, არ მშორდებოდნენ და წაყვანის შემდეგ რა დაემართათ მათ? ის დაემართათ, რომ დედამისი შავდღეს დააყენებს, მისიკვდილებს და შიშმა შექმნა მამის სიძულვილი, დედის სიყვარული. მე შვილებს მუდამ ლმობიერად ვეპყრობოდი, ერთხელაც თითი არ წამიკარებია, დედამისი კი უმოწყალოდ სცემდა.

ამ წერილის დაბეჭდვას იმიტომ გთხოვთ, რომ ჩემმა ცოლმა შემომითვალა, ბავშვების ნახვის საშუალებას მოგცემ, თუ გაზეთში მონანიების წერილს გამოაქვეყნებო. ნეტავი რა მაქვს მოსანანიებელი! ჩემი ბედი ეს არის. 39 წლის კაცი ვარ და ახალი სიყვარული რომ ვეძებო, იმის შნო არა მაქვს. დავრჩი......... წაიქცა ოჯახი და მინდა ვიცოდე, ვინ არის უფრო დამნაშავე: მე თუ ჩემი ცოლი? ჩემი რწმენით, ცოლია დამნაშავე, ცოლია ოჯახის ბალავერი და კედელი. ქალი ქმნის მთელი ოჯახის სულიერ განწყობილებას. მე იმაში ვარ დამნაშავე, რომ ცოლი ვერ მოვთოკე, მაგრამ „თავაშვებულსა დიაცსა, აბა მითხარი რას უზამ?“.

გიორგი გურიელიძე

წერილის ავტორი „რომელი ვართ უფრო დამნაშავე?“ გამოგონილ სახელს და გვარს ამოეფარა, უფრო მეტი, მისამართიც კი შეთხზა. რედაქციაში ეს არავის გაკვირვებია, პატივცემული გიორგი გურიელიძე არ გახლავთ ამგვარი ამბების პიონერი. არ იფიქრონ არც გურიელიძემ და არც კიდევ სხვა „თვითმარქვიებმა“, ვინმე მათ ამ საქციელისთვის კიცხავდეს. რა თქმა უნდა, გაბედულება და ვაჟკაცობა (იგულისხმება საკუთარი სახელისა და გვარის აღიარება) მეტად მისასალმებელია, მაგრამ რას ვიზამთ, ადამიანთა ბუნება ათასგვარია, ყველას არ სურს სააშკარაოზე გამოიტანოს თავის ბედი თუ უბედობა.

წერილი „რომელი ვართ უფრო დამნაშავე?“ უდაოდ ყურადღებისა და მსჯელობის ღირსია. მისი გულწრფელი, დამაჯერებელი კილო ჩვენთან ერთად მკითხველსაც დაარწმუნებს ამბის სიმართლეში. ბევრს კი აიძულებს საკუთარ ცხოვრებას შეხედოს ფხიზელი თვალით.

წერილი იბეჭდება უცვლელად, ყოველგვარი სარედაქციო შესწორების გარეშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა დედების ვარჯიში

ა, ისიც, თქვენი პირმშო! რა სიამაყეს გრძნობთ, როგორ ევლებით თავს. რა ყოვლისმომცველი ყოფილა დედობის გრძნობა! აღარაფერი გაინტერესებთ, აღარაფერი გახსოვთ თქვენი პატარას გარდა. მაგრამ ხვალ, ზეგ და... ქალობის ინსტიქტი სარკესთან მიგიყვანთ. და ისიც გულგრილად გიჩვენებს, რომ ფეხმძიმობას, მშობიარობას თქვენი ტანისთვის თავისი დაღი დაუსვამს... მაგრამ არ იდარდოთ. ორიოდე კვირაში შესძლებთ დაიბრუნოთ ქალიშვილობის დროინდელი მოქნილობა და სიკოხტავე. გამოჰყავით ამისთვის დღეში ნახევარი საათი.

ა, რამდენიმე ვარჯიში ახალგაზრდა დედებისათვის:

1. ზურგზე დაწექით, ფეხები მუხლებში მოხარეთ და ფეხის კუნთების დაძაბვით გაშალეთ და კვლავ შეაერთეთ მუხლები.

2. ასევე, ზურგზე დაწოლილ მდგომარეობაში ხან ერთი ფეხი ასწიეთ, ხან მეორე და ფეხის ტერფები წრიულად ატრიალეთ ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ.

3. ისევ ზურგზე იწექით, ტანის გასწვრივ გამართეთ ხელები. რიგრიგობით მოხარეთ ხან მარჯვენა, ხან კი მარცხენა მუხლი.

4. ეს ვარჯიში მხოლოდ მაშინ ჩაატარეთ, როცა ბავშვს ძუძუს გააშვებინებთ. ის ძალიან ამაგრებს ზურგისა და კისრის კუნთებს. დაწექით მუცელზე, ხელები ტანის გასწვრივ გამართეთ და სწრაფი მოძრაობით გადასწიეთ ხოლმე თავი უკან.

5. დაწექით ზურგზე, ხელები კეფის ქვეშ ამოიდეთ, მუხლში მოხრილი ფეხები შეაერთეთ, ხან მარჯვნივ გადახარეთ და ხან მარცხნივ, ისე, რომ თეძოებით იატაკს ეხებოდეთ.

6. დაჯექით იატაკზე, ფეხის წვერები კარადის ან კამოდის ქვეშ ამოდეთ, ხელები კეფაზე დაიწყვეთ და სწრაფად გადაიწიეთ უკან ისე, რომ ფეხები მუხლებში არ მოხაროთ. შემდეგ, ასევე მუხლმოუხრელად, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

7. დაწექით ზურგზე, გამართული და შეტყუპული ფეხები ასწიეთ, სანამ მართ კუთხეს მიიღებდეთ, შემდეგ კი ძალიან ნელა დაუშვით.

8. ეს უკანასკნელი ვარჯიში ამაგრებს ხელებისა და მკერდის კუნთებს. შეერთებული ხელისგულები მოკუმშეთ და იდაყვები თანდათანობით ასწიეთ მხრების სიმაღლემდე. ეს ვარჯიშები ჩაატარეთ 5-6-ჯერ ზედიზედ.




# კულინარია

### ბადრიჯნის ხიზილალა

2 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი და მწვანილი (ოხრახუში, ქინძი, რეჰანი) მოხრაკეთ ზეთში. 1 კგ ბადრიჯანი და ნახევარი კგ პამიდორი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში და ჩაყარეთ იმ ქვაბში, სადაც მოხრაკული ხახვი და მწვანილი გაქვთ. დაუმატეთ გემოვნებით მარილი, ნიორი, წიწაკა და განაგრძეთ ხრაკვა, სანამ მზად არ იქნება. შეაგრილეთ და სუფრაზე ისე მიიტანეთ.

### შემწვარი თევზი ბროწეულის საწებლით

გასუფთავებული, გამოშიგნული, გარეცხილი 1 კგ წვრილი მთელ-მთელი თევზი კანგაუცლელად შეწვით კეცზე ან ზეთში, ცხელ ტაფაზე. ბროწეულიდან გამოწურეთ 1-1$^1/_2$ ჩაის ჭიქა წვენი, დაუმატეთ ერთად დანაყილი ნიორი, ქინძი, წიწაკა, მარილი (გემოვნებით) და აურიეთ.

შემწვარი თევზი ლანგარზე დააწყვეთ, ზემოდან მოასხით ბროწეულის საწებელი, მოაყარეთ წვრილად დაკეპილი ხახვი და ერთი ბროწეულის მარცვლები. თუ ბროწეულის წვენი ძალიან მჟავე მოგეჩვენებათ, გააზავეთ გემოვნებით ცივი წყლით.

### ქათმის ჩიხირთმა

გასუფთავებულ, გარეცხილ ქათამს დაასხით წყალი და დადგით მოსახარშად. ადუღებამდე მოხადეთ ქაფი. როცა ქათამი მოიხარშება, ამოიღეთ თეფშზე და მოაყარეთ მარილი. ქათმის ბულიონს მოხადეთ სიმსუქნე, ჩაასხით ქვაბში, ჩაუმატეთ 4-5 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი და კარგად მოშუშეთ. ერთ ჩაის ჭიქა ბულიონში და ორ სუფრის კოვზ ძმარში გახსენით 1-2 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, დაასხით მოხრაკულ ხახვს და დაუმატეთ ქათმის ნახარში წვენი (7-8 ჩაის ჭიქა). დუღილის დროს ჩაუმატეთ 3 ძირი ქინძი. ორმოცი-ორმოცდაათი წუთის დუღილის შემდეგ ამოიღეთ ქინძი და გადააგდეთ, წვენს კი მიუმატეთ დანაყილი დარიჩინი, შავი პილპილი (გემოვნებით), 5-6 წვეთი ზაფრანის ნაყენი და ხარშეთ კიდევ ათი წუთი. შემდეგ გადმოიღეთ ცეცხლიდან და შიგ თანდათან ჩაუშვით ცოტაოდენ ძმარსა და წვენში გათქვეფილი 2-3 ცალი უმი კვერცხი მთლიანად ან მარტო გული. ჩიხირთმა შეგიძლიათ ლიმონის მჟავითაც შეაზავოთ. როცა კერძი მზად იქნება, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი.

მოხარშული ქათამი დაჭერით და მოათავსეთ წვნიან მათლაფაში ან წვენთან ერთად ცალკე თეფშით მიიტანეთ სუფრაზე. თუ გნებავთ მოხარშული ქათმისაგან მეორე კერძი მოამზადეთ.

# მწვანე აფთიაქი

ბალახი, ყვავილები და ბოსტნეული მშვენივრად დაგეხმარებათ სახის კანისა და თმის მოვლაში — იქნებ, ნაყიდ კრემებსა და ლოსიონებზე ნაკლებადაც არა! მრავალი მცენარე შეიცავს ძალიან ბევრ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს (ვიტამინებს, ფიტონციდებს, ბიოგენურ სტიმულატორებს), რომლებიც ხელს უშლიან კანის დაბერებას და გარეგნულადაც კარგ ეფექტს ახდენენ. ამიტომ ქალაქგარეთ ყოფნის დროს მოკრიფეთ, გაახმეთ და შეინახეთ ზამთრისათვის შემდეგი მცენარეები:

გ ვ ი რ ი ლ ა. ამ ყვავილის თავების ნახარშით დამზადებული თბილი საფენები ან უბრალოდ სახის გაწმენდა არბილებს მშრალ, მგრძნობიარე კანს, ამუშებს მზის სიდამწვრეს და ტკივილს აცხრობს. გვირილის ნახარში ამშვიდებს მოღლილ და დაწითლებულ თვალებს, მისი ცხელი საფენები კი მწერებისაგან დაკბენილი კანის ქავილს აწყნარებს.

ძალიან კარგია გვირილის ნაყენი თმისათვისაც. 100 გრ გამხმარ გვირილის ყვავილს დაასხამთ ერთ ლიტრ მდუღარე წყალს. 20-30 წუთს ადუღებთ, დოლბანდში გაწურავთ და დაბანის შემდეგ თმაზე გადაივლებთ. თმა მოოქროსფრო-მბრწყინავი და აბრეშუმივით რბილი გახდება.

ყ ა ყ ა ჩ ო. ყაყაჩოს გამხმარ ფურცლებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და დატოვეთ ასე ერთი ღამე. გაწურეთ. ამ ნაყენით გაიწმინდეთ სახე დილა-საღამოს და ნაოჭები საგრძნობლად გაიშლება, კანი გაახალგაზრდავდება.

კ ა ლ ე ნ დ უ ლ ა (ანუ გულყვითელა). გამხმარი ყვავილების ნაყენს (20 გრამი 100 გრ 75 პროცენტიან სპირტზე) ხმარობენ ცხიმიანი, ფორიანი და ფერიმჭამლებიანი კანის გასაწმენდად. გულყვითელას ნაყენს იყენებენ ქერტლისა და თმის ცვენის წინააღმდეგ. ამისათვის ნაყენი უნდა გახსნათ ორ მესამედ ადუღებულ წყალში და ერთი თვის ან თვენახევრის განმავლობაში ყოველდღიურად (გარდა თმის ბანის დღისა) შეიზილოთ თმის ძირებში.

პ ი ტ ნ ა მშვენივრად მოქმედებს ცხიმოვან კანზე. თუ რეგულარულად გაიწმენდთ სახეს პიტნის ნაყენით (100 გრ გამხმარი პიტნა 1 ლიტრა წყალზე), ფერიმჭამლებიანი კანი დაგეწმინდებათ.

პიტნის აბაზანები (100 გრამი ხმელი პიტნა ერთ ტაშტ წყალზე) უებარი წამალია დაღლილი, შესიებული ფეხებისათვის.

ღ ი ღ ი ლ ო კარგად მოქმედებს ნაზ, მგრძნობიარე კანზე. ის ავიწროებს კანის გადიდებულ ფორებს. მისი ნაყენით (10 გრ გამხმარი ყვავილი ერთ ლიტრ წყალზე) ისე, როგორც ლოსიონით, დღეში ერთხელ ან ორჯერ გაიწმინდეთ სახის კანი. ეს ნაყენი შველას გვრის დაღლილ თვალებს, რადგან ამცირებს სისხლის მოწოლას დაწითლებულ ქუთუთოებზე.

მ რ ა ვ ა ლ ძ ა რ ღ ვ ა. მწერის ნაკბენზე დაიდეთ მრავალძარღვას ფურცლები. ტკივილი და ქავილი სულ მალე გაქრება. მრავალძარღვას ნაყენი აქრობს ფერიმჭამლებსაც. 100 გრ ფურცელს დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და ნახევარი საათი ადუღეთ. გაწურეთ. ნაყენისაგან ყოველდღიურად გაიკეთეთ ცხელი საფენები. შემდ… ვი წყალი შეისხით.

ჯ ი ნ ჭ ა რ ი განა მარტო გვშუშხავს, ის გვკურნავს კიდეც. ჯინჭრის ნაყენი (ერთი სუფრის კოვზი გამხმარი ფოთოლი ერთ ჭიქა მდუღარე წყალზე) ძალზე შველის ქერტლსა და თმის ძლიერ ცვენას.

ასევე კარგად მოქმედებს თმაზე … ული: კრაზანა (ზვერობოი), სალბ… ფეი), ბუერა. მათი ნარევისაგან და… ლი ნაყენით დაიზილეთ თმის ძირე…

მ უ ხ ი ს ქ ე რ ქ ი მდიდარია შემკვრელი ნივთიერებებით და მას ფეხის ოფლიანობის წინააღმდეგ ხმარობენ. 50 გრ ქერქს დაასხით ერთი ლიტრი წყალი და ადუღეთ 15-20 წუთი. ძილის წინ გაიკეთეთ ფეხის აბაზანები (მუხის ქერქის მაგივრობას 30-60 გრ მწიფე მაყვალიც გასწევს ამავე წესით).

კ ი ტ რ ი კანს ათეთრებს, მქრქალ…ა და ხავერდოვანს ხდის. თუ მრგვალად დ… კიტრს სახეზე და დაღლილ, გაწითლ… თვალებზე დაიდებთ, 10-15 წუთის შ… შვებას იგრძნობთ. კიტრისაგან ლოსიო… ამზადებენ ნორმალური და ცხიმიანი … თვის: წვრილად დაკეპეთ 100 გრ კან… ცქნელი კიტრი, დაასხით 100 გრ სპირ…ი ან არაყი. ერთი კვირა თავდახურულ … შეინახეთ. მერე დოლბანდში გაწ… სახის გასაწმენდად (პირის დაბანი… იხმარეთ. თუ კანი ძალიან მშრალი გ… სითხე სანახევროდ გააზავეთ ანა… წყლით.

ს ტ ა ფ ი ლ ო. ძალიან მოგიხდება… ფილოს წვენი ან გახეხილი სტაფილ… ცუდი ფერის, მოდუნებული და წ… დაწინწკლული სახის კანი გაქვთ. სტ… ნილაბი მთელ სახეზე დაიდეთ, ნახევარი საათის შემდეგ მოიბანეთ გრილი ანად… წყლით.

ო ხ რ ა ხ უ შ ი. ერთი კონა ოხრახუში ნახევარ ლიტრ წყალში ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ გაწურე… და ნაყენით გაიწმინდეთ სახე. ეს ნაყე… აცოცხლებს, ჭორფლს აუფერულე… ხელს უშლის ნაოჭებისა და წითელი ლაქე… ბის გაჩენას.

**ი. ვრუბლევსკაია,**

მოსკოვის საექიმო-კოსმეტიკუ… ნალის მთავარი ექიმის მოადგილე.

გარეკანზე — „მშვიდობა". ფერადი ლინოგრავიურა გრ. ჩ ი რ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**

ტექრედაქტორი **ქ. დემუროვა.**

საქ. კპ ცენტრალ… კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 9-50-39, 9-98-71, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IX. 1967 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000. შეკვ. № 3256. უე 02241, **ფასი 30 კაპ.**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გ. გელაშვილი შემოდგომა

6 68/192

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178

